# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნტის გაჩენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 25 იანვარი. 2023 წ. №9 (9541) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი


# უკრაინელი ხალხი მტერს ებრძვის, მათი მთავრობა კი... საქართველოს!



## უკრაინის რწმუნებული კასიანოვ! ვის თამაშს თამაშობთ?!

**საქართველოს ხელისუფლებამ ევროკავშირისა და ნატოს საპირისპირო მიმართულებით დაიწყო მოძრაობა, თუმცა ოფიციალურად განაგრძობს ევროპული გზის ერთგულების დეკლარირებას,** — ამის შესახებ საქართველოში უკრაინის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, ანდრეი კასიანოვმა განაცხადა.

კასიანოვის თქმით, საქართველომ შეიტანა განაცხადი ევროკავშირის კანდიდატის სტატუსისთვის და ახლა ოფიციალურად ადასტურებს თავის პრინციპულ პოზიციას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შესახებ, რაც საქართველოს კონსტიტუციაშია დაფიქსირებული.

**„თუმცა რეალურად, რა გვაქვს? ფაქტობრივად ჩვენ გვაქვს ის, რომ ქვეყანა, რომელიც აგრძელებს თანმიმდევრულ მოძრაობას ევროკავშირისა და ნატოსკენ, პოლიტიკოსების განცხადებებით, დაიწყო სხვა მიმართულებით სვლა. ეს არის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი პრინციპების აშკარა უგულებელყოფა. ეს ჩვენთვის აშკარა ფაქტია, რაც ევროკავშირის სანქციების მესამე პაკეტის დარღვევას წარმოადგენს“,** — განაცხადა ანდრეი კასიანოვმა.

უკრაინელი დიპლომატის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების განზრახვები რუსეთთან პირდაპირი ფრენების აღდგენის შესახებ, ასევე ეწინააღმდეგება ევროკავშირის პოლიტიკას, რომელმაც დახურა ფრენები უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ. კასიანოვის განცხადებით, რუსების შედინების გამო საფრთხის არსებობის შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველოდან უკრაინელების ევაკუაცია განხორციელდეს.



## კასიანოვის განცხადება არის სამარცხვინო და სპეკულაციური!

**კასიანოვისგან ასეთ არარელევანტურ განცხადებებს მიჩვეულები ვართ, ეს არის სამწუხარო მოვლენა, კასიანოვს იმ შემთხვევაში დასჭირდებოდა ალბათ უკრაინელების ევაკუაცია საქართველოდან, თუ ჩვენ „ბუკებს“ გავაგზავნიდით უკრაინაში, რადგან ეს იქნებოდა საქართველოს ჩართვა სამხედრო კონფლიქტში,** — ამის შესახებ **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა.

**„სწორედ კასიანოვი მოგვიწოდებდა ჩვენ მეორე ფრონტისკენ და ამ შემთხვევაში ჩვენ დაგვჭირდებოდა არა მხოლოდ უკრაინელების, არამედ ქართველების ევაკუაციაც საქართველოდან. ჩვენ მოვისმინეთ კასიანოვის მეორე ფრონტთან დაკავშირებული განცხადებები, რაც იყო ძალიან მძიმე და ეს იმ რიტორიკის გაგრძელებაა, რაც მოვისმინეთ მისი მხრიდან. ყველამ იცის, რომ ფრენების აღდგენას არავითარი კავშირი არ აქვს რუსების მოზღვავებასთან საქართველოში. ამასთან დაკავშირებით უკვე სამი სპეკულაციური კამპანია გამოვიარეთ, ერთი იყო მარტში, მეორე იყო ზაფხულში და მესამე იყო მობილიზაციის გამოცხადების შემდგომ. ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სამივე იყო ცარიელი სპეკულაცია, არავითარი რისკები არ შექმნილა ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის, მათ შორის არც საქართველოში მცხოვრები უკრაინის მოქალაქეებისთვის. ეს ყველაფერი იყო ცარიელი, სამარცხვინო სპეკულაცია და რა თქმა უნდა კასიანოვის დღევანდელი განცხადებაც არის სამარცხვინო და სპეკულაციური“,** — განაცხადა კობახიძემ.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, **ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით, ერთადერთი რაც შეიძლება, ითქვას არის ის, რომ აღდგენა იქნება შეღავათი ბევრი ქართველისთვის.**

## „დედის ცრემლები“ ყურადღებას გვთხოვს!

⑤

### ქალაქ თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს!

## სევდა სიცოცხლის ხისა,



### ანუ „მუმლი კვდებოდაო, მუხა რჩებოდაო“!




## 75 დღესაც წყალბურთის სიყვარულით ცოცხლობს

## მეექვსედაც გადავშენდებით?






## მიხეილ სააკაშვილს კორონავირუსი დაუდასტურდა

**„მიხეილ სააკაშვილს კორონავირუსი დაუდასტურდა. არ არის გამორიცხული რეანიმაციაში გადაიყვანონ“,** — ახალი ამბების სააგენტო Pia.ge-ს სააკაშვილის ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ განუცხადა.

**ამ ეტაპზე მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დამატებითი ცნობები არ გავრცელებულა.**



# ირაკლი ღარიბაშვილი არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში არაბთა გაერთიანებული საამიროების ელჩს, აჰმედ იბრაჰიმ აჰმედ თაჰერ ალ ნუაიმის შეხვდა.**

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე საუბარი შეეხო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს. მთავრობის მეთაურმა დიპლომატს საქართველოში ელჩად დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა. ხაზგასმით აღინიშნა, რომ არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი იყო დამატებითი წინ გადადგმული ნაბიჯი ქვეყნებს შორის მეგობრობისა და პარტნიორობის გაძლიერებისკენ. პრემიერმა ელჩს არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მისი ვიზიტის დროს გაერთიანებული საამიროების მთავრობის მხრიდან გამოჩენილი სტუმართმოყვარეობისა და გულთბილი მიღებისთვის მადლობა გადაუხადა. ხაზი გაესვა ქვეყნებს შორის არსებულ მეგობრობას და მჭიდრო პარტნიორობას. გამოითქვა მზადყოფნა სხვადასხვა სფეროში არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გასაღრმავებლად.

# არჩილ თალაკვაძე: რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია საერთაშორისო სამართლის დარღვევაა



**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურმა კომიტეტმა ჩვენი დელეგაციის მიერ ინიცირებული ცვლილება განიხილა,** – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, არჩილ თალაკვაძემ განაცხადა.

როგორც თალაკვაძემ აღნიშნა, რეიკიავიკის სამიტთან დაკავშირებული რეზოლუციის პროექტში შევიდა ცვლილება, რომლითაც პირველივე პარაგრაფს დაემატა ტექსტი საქართველოს შესახებ, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის პრინციპების უხეშ დარღვევას.

**„რეზოლუციის პროექტში ასევე ნათქვამია, რომ რუსეთმა უნდა გაიყვანოს ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან. რეზოლუცია გადის უკვე პლენარული სესიის სხდომაზე და კენჭისყრის შედეგად უკვე საბოლოო ვერსია დამტკიცდება, მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ჩვენ მიერ ინიცირებულ ამ ცვლილებას. რეიკიავიკის სამიტის რეზოლუციასთან დაკავშირებით საქართველოზე არაერთ ადგილას რომ არის საუბარი ძალიან მნიშვნელივანია, რადგან თავად ეს სამიტი ეძღვნება და მიმართულია ევროპის კონსოლიდაციისკენ, ევროპის გაერთიანებისკენ იმ გამოწვევებთან მიმართებით, რომელიც დღეს არსებობს კონტინენტზე. შესაბამისად, საქართველოს საკითხის მაღლა წამოწევა დღის წესრიგში რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ. ჩვენ პარტნიორებთან ერთად გავაკეთეთ ყველაფერი, რომ საქართველოსთან დაკავშირებული თემები ყოფილიყო მაქსიმალურად ასახული რეზოლუციის ტექსტში, ეს პროექტი გავა დასამტკიცებლად პლენარულ სესიაზე“,** – განაცხადა თალაკვაძემ.

# გიორგი ამილახვარი: CNN იქნება, BBC თუ AL JAZERA, ვალდებული ვართ, გადაუმოწმებელ ინფორმაციას ვუპასუხოთ!



**სრული პასუხისმგებლობით, არ არსებობს არცერთი პატარა, იოტისოდენა მტკიცებულება და დოკუმენტიც, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში, საქართველო არის ან ტრანზიტი ან გამტარი ან რეექსპორტად გამოყენებული ქვეყანა უკანონო ტვირთებისთვის,** – ამის შესახებ გიორგი ამილახვარმა „პალიტრანიუსის“ ეთერში განაცხადა. საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თქმით, რიცხვები თავისას ამბობს და ფაქტია, რომ ბოლო წლის განმავლობაში საქართველოს რუსეთთან ვაჭრობა შემცირებული აქვს. დეპუტატი CNN-ის წამყვანის ქრისტიან ამანპურის მიერ დასმულ კითხვასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს ფაქტები არ არის გადამოწმებული.

**„იქნება ეს CNN, Al Jazera, BBC თუ „პალიტრა“, იქ სადაც გაჟღერდება ჟურნალისტის ან რესპონდენტის მხრიდან გადაუმოწმებელი ინფორმაცია, რომელიც არის ტყუილი, არ არის ფაქტებზე დაფუძნებული, არანაირი მტკიცებულება უკან არ დგას, ბუნებრივია, ჩვენ ვალდებული ვართ, ვინც არ უნდა იყოს ეს და რაოდენ დიდი თუ პატარა მედიასაშუალება და რომელ ქვეყანასაც არ უნდა წარმოადგენდეს, უბრალოდ ამას ვუპასუხოთ სიმართლით, ფაქტებით, დოკუმენტებით. მე გაგახსენებთ, მას შემდეგ რაც რუსეთ-უკრაინის ომი დაიწყო, რიგი ევროპარლამენტარის მხრიდან, უკრაინის მაღალჩინოსნების მხრიდანაც არაერთხელ გვსმენია, რომ საქართველო არის ერთგვარი ჩიხი, კორიდორი თუ ხვრელი, სადაც ხდება სანქციების გვერდის ავლით ტვირთის შეტანა რუსეთში და ბუნებრივია, ყოველ ჯერზე ჩვენი რეაქცია იყო მყისიერი, პრინციპული და მკაცრიც. ვითხოვდით ფაქტებს და მტკიცებულებებს“,** – აღნიშნა ამილახვარმა.

დეპუტატის თქმით, **სანქციების გვერდის ავლასთან დაკავშირებული ბრალდებების დასამტკიცებლად არცერთი დოკუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი, ფინანსთა სამინისტროს მადლობის წერილები აქვს მიღებული, ევროკავშირისა თუ სხვა პარტნიორების მხრიდან საერთაშორისო სანქციებთან საქართველოს შეერთების გამო. „ჩვენ, სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი ვიყავით, ვინც საერთაშორისო სანქციებს შევუერთდით და აღარ განვმარტავ იმას, ორმხრივ სანქციებს რატომ არ ვუერთდებით,** – დასძინა ამილახვარმა.

# ლევან მამალაძე: აგვისტოს ომში მიხეილ სააკაშვილის კომერციული ინტერესები იკვეთება



**საზოგადოებრივი პლატფორმის „დაიცავი მშვიდობა“ ხელმძღვანელი ლევან მამალაძე აცხადებს, რომ აგვისტოს ომში მიხეილ სააკაშვილის კომერციული ინტერესები იკვეთება.**

მამალაძის თქმით, მისმა პლატფორმამ მიმართა საქართველოს პროკურატურას აღნიშნული საკითხის გამოძიების მოთხოვნით და მიუხედავად იმისა, რომ განცხადებაში მითითებული იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის შემცველი ფაქტების შესახებ, მათ უწყებიდან ამ დრომდე არავინ დაკავშირებია.

**„ჩვენთან თავს იყრის უამრავი ინფორმაცია, არიან თვითმხილველები, მოწმეები იმისა, თუ რა ტიპის დანაშაული მოხდა. შესწავლილი უნდა იყოს, რა გარიგებაში შევიდა მაშინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთთან, რა ურთიერთობები ჰქონდათ დამყარებული სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებს რუსეთის ხელისუფლებასთან და რატომ მივიღეთ ის შედეგი, რომ საქართველო დამარცხდა, დავკარგეთ ტერიტორიები, რომელ ტერიტორიებზეც საომარი მოქმედებები საერთოდ არ მიმდინარეობდა. დროთა განმავლობაში ვრწმუნდები, რომ ეს იყო სააკაშვილის კომერციული პროექტი“...**

# გიგა ბოკერია: „ნაცმოძრაობის“ საქციელი, უპრინციპობა, არათანმიმდევრულობაა...

ბოკერიას განცხადებით, „ქართულ ოცნებას“ აწყობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ წარმოაჩინოს ერთადერთ ალტერნატივად.

**„ეს თუ არ შეიცვალა, რეჟიმის დამარცხება და ქვეყნის ამ ჭაობიდან ამოყვანა იქნება შეუძლებელი, ან ძალიან რთული, ან ძალიან დიდი ფასი დაჯდება. დაპირისპირება „ნაციონალური მოძრაობის შიგნით, ისევე როგორც ამ პარტიის შიგნით ბოლო წლების განმავლობაში მიმდინარე ყველა მოვლენა, არის დასტური იმის, რომ არანაირი ფასეულობები, არანაირი შეხედულებები, არანაირი დისკუსია რაიმე არსებით საკითხზე არ არის. მხოლოდ პერსონალური დაპირისპირება, ტალახის შესხმა, ცილისწამება ერთმანეთის მიმართ. „ქართული ოცნება“ რაც არის, იგივედ იქცნენ შინაარსით ეს ადამიანები“.**

# იაგო ხვიჩია: „ნაცმოძრაობაში“ თუ არ იციან, როგორ დაიშალონ, კარგი მაგალითის აღება „ევროპული საქართველოდან“ შეიძლება

**„ნაციონალურ მოძრაობას“ მოვუწოდებ, ნუ გაწყვეტენ მრავალწლიან ურთიერთობებს, სჯობს, პარტიის დაშლაზე იფიქრონ, რომ ეს ურთიერთობები ახალი პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნისთვის გამოიყენონ,** – ამის შესახებ „გირჩის“ ლიდერმა, იაგო ხვიჩიამ განაცხადა. ხვიჩიას განცხადებით, „გირჩი“ „ნაციონალური მოძრაობის“ დაშლას გულშემატკივრობს.

**„მანქანა ვინ ვის აჩუქა და ვინ ვის რა გაუკეთა, მგონი, ეს ჩემი გასარჩევი არ არის. ჩემი პარტიიდან ეს ყველაფერი მშვენივრად ჩანს, ჩვენ ხომ „ნაცმოძრაობის“ დაშლას ვგულშემატკივრობთ, მაგრამ „ნაცმოძრაობის“ მომხრეებისთვის ეს ყველაფერი კარგად არ გამოჩნდება. ყველასთვის სჯობს, რომ „ნაცმოძრაობა“ ჩუმად დაიშალოს, ჩხუბის და რაღაცების გარეშე. თუ მაინც და მაინც არ იციან, ზუსტად როგორ დაიშალონ, მგონი, კარგი მაგალითის აღება „ევროპული საქართველოდან“ შეიძლება – დაშლა უხმაუროდ და კვალიფიციურად, მათ იციან. ვფიქრობ, რომ პარტიაში პოლიტიკური ტემპერატურა ჯერ კიდევ ისე აიწევს, რომ შემდეგ ურთიერთობის ისე გაგრძელება ვითომ არაფერი მომხდარა, სწორი არ იქნება. ძალაუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს და მგონი, ამ პარტიის მოღონიერებისთვის შიდა ბრძოლაზე უფრო მნიშვნელოვანი მიხეილ სააკაშვილის საკითხის გადაწყვეტაა. ის, რომ „ნაცმოძრაობა“ ასეთი სახით არჩევნებამდე მივიდეს, მგონი, დაშლა სჯობს და ასპარეზი სხვა ძალებს მისცეს, რაც მიხეილ სააკაშვილისთვისაც კარგი იქნება“,** – განაცხადა ხვიჩიამ.

# მოტყუებაც ასეთი უნდა!

## დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე პროკურატურამ თაღლითს ბრალდება წარუდგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ფულადი თანხების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაზარალებულებს არწმუნებდა, თითქოსდა როგორც თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანს, ფულადი თანხების – 3000-5000 ლარის გადახდის სანაცვლოდ, ამავე უნივერსიტეტში სტუდენტების ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე შეეძლო. ასევე, ბრალდებული სარგებლობდა რა დაზარალებულების ნდობით, ატყუებდა მათ, თითქოს არსებული სტუდენტური პროგრამის ფარგლებში, მას სტუდენტებისთვის თბილისში ბინების მინიმალურ ფასად, დაახლოებით 7 000-11 000 ლარის სანაცვლოდ გადაცემა შეეძლო.

ბრალდებული აღნიშნული სქემის გამოყენებით, 10 დაზარალებულის ფულად თანხას – ჯამში 119 030 ლარს მოტყუებით დაეუფლა. სამართალდამცველებმა ბრალდებული 2023 წლის 21 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს.

# ბინები – 40 დევნილ ოჯახს

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ ნგრევად შენობებში მცხოვრებ ადმინისტრაციული დაპირების მქონე იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს თბილისში ბინები გადასცა. ახალაშენებულ კორპუსებში გარემონტებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საცხოვრებელი ფართი 40-მა დევნილმა ოჯახმა მიიღო, მათ შორის არიან სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები დევნილები. ამ ეტაპზე „ქართლში“ მცხოვრები 140 ოჯახიდან 100-მდე ოჯახი ახალი საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილებულია.



დევნილი ოჯახებისთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების შექმნა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტია. ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად გრძელდება. 2023 წელს, იძულებით გადაადგილებული ოჯახების განსახლების მიზნით, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში მასშტაბური სამშენებლო სამუშაოები დაიწყება. მომდევნო 3-4 წლის განმავლობაში კი ახალი საცხოვრებელი ფართით იძულებით გადაადგილებული 13 000 ოჯახი დაკმაყოფილდება.



ვიქტორ ყიფიანი, „ჯეოქეისის“, თავმჯდომარე

# შუა დერეფნის მნიშვნელობა: შეუფასებლობა დაუშვებელია, გადაფასება – შეუძლებელი!

(მეორე ნაწილი)

## შუა დერეფნის შემდგომი ხელშეწყობისათვის

**ზემოთ უკვე ვახსენეთ ის პრობლემური საკითხები, რომელთა მოწესრიგებაც აუცილებელია შუა დერეფნის პროექტის გაშვებისა და წარმატებული ოპერირებისათვის. ასევე ვახსენეთ და მოკლედ დავახასიათეთ ცალკეული მსხვილი კატეგორიის გამოწვევაც.**

ფაქტია, რომ ამ მხრივ სამუშაო პროცესი პროგრესირებს და ამ წუთისათვის, სტატუსიც საკმაოდ დამაიმედებელია. ასე მაგალითად, გრძელვადიან პერსპექტივაში რიგი საკვანძო ასპექტების გადაწყვეტას მიეძღვნა საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქეთისა და ყაზახეთის საგარეო საქმეთა და ეკონომიკის მინისტრების მიერ ე.წ. „საგზაო რუკის“ ხელმოწერა. მაგისტრალური საკითხების პარალელურად, აღნიშნული დოკუმენტი ტრანზიტისათვის ე.წ. ვიწრო ადგილების აღმოფხვრას და კასპიისა და შავი ზღვის რეგიონში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გასამართად მოქმედებათა უკეთ კოორდინაციას ეძღვნება.

კონკრეტული ხელშემწყობი ფაქტორების კვალდაკვალ, აუცილებელია აღინიშნოს პროექტის მხარდამჭერი საერთო განწყობაც. ასეთი ფონი, პირდაპირი თუ ირიბი ქმედებებით გამოხატული, არანაკლებ წონადია, ვიდრე ამა თუ იმ პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ასე მაგალითისათვის, თურქულენოვანი სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭომ შუა დერეფნის სატრანსპორტო პოტენციალისა და მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდას განსაკუთრებული როლი მიანიჭა. მეტად ნიშანდობლივია ყაზახეთის ხელისუფლების გასული წლის ივლისში გაკეთებული ერთმნიშვნელოვნი მოწოდება, რომ ყაზახურმა კომპანიებმა რუსული მარშრუტის ალტერნატივები ეძებონ.



შუა დერეფნის ქმედუნარიანობას, ასევე, ამყარებს ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის შეთანხმება ბუნებრივი აირის ევროპულ ბაზარზე მიწოდების გაორმაგების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მიწოდება, პრაქტიკულად, ცალ-ცალკე განწესებული კომუნიკაციებით – ტრანსანატოლიური და ტრანსადრიატიკული მილსადენებით იწარმოებს, მათი ჯამური ეფექტი ისევ და ისევ რეგიონზე გამავალი შუა დერეფნის სიმტკიცეს მოემსახურება.

პროექტის ხელშემწყობ გარემოებებზე საუბრისას საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ციფრული კონტენტით გამრავალფეროვნების გეგმა. შუა დერეფნის გაციფრულებისაკენ მიმართული ახალი ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა პროექტს აბსოლუტურად სხვა განზომილებაში გადაიყვანს, მას გრძელვადიან კონკურენტუნარიანობასა და მაღალი ხარისხის კომერციალიზაციას შესძენს. შუა დერეფნის ციფრული ტექნოლოგიებით აღჭურვას უმიზნებს ის „საგზაო რუკა“, რომელიც, როგორც ვთქვით, უკვე ხელმოწერილია და შუა დერეფნის მარშრუტის გასწვრივ ტექნოლოგიური სტანდარტების გაუმჯობესებას, შესატყვისი ალგორითმების დანერგვასა და ინფრასტრუქტურული და საოპერაციო შესაძლებლობების განვითარებას გულისხმობს.

ბოლოდროინდელი პროცესები განახლებულ მიდგომას მოითხოვს დასავლეთისგანაც. რეგიონისაკენ შემობრუნების არაერთი მაგალითი იკვეთება (ასეთია თუნდაც ევროკავშირის ორი მილიარდი ევროს პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის (აზერბაიჯანთან ერთად) ფორმატში სატრანსპორტო თანამშრომლობის გასაღრმავებლად), თუმცა, ასეთი შემობრუნება უფრო თანმიმდევრულ პოლიტიკას და მეტ ინვესტირებას მოითხოვს. ამ ეტაპის თანამშრომლობის პრიზმაში მეტად სასურველი იქნება აგრეთვე მიზნობრივი პროგრამები შავი და კასპიის ზღვების ბაზრების ინტეგრაციისა და ტრანსსასაზღვრო პროექტებისათვის თამაშის წესების უნიფიკაციისათვის.

და კიდევ ერთი მოსაზრება, ამჯერად უფრო ობიექტურ მოცემულობასთან დაკავშირებული: არც ჩინეთს და არც თურქეთს – შუა დერეფნის პროექტის ორ საკვანძო აქტორს - რუსეთზე ტვირთნაკადში დამოკიდებულების დიდი სურვილი არ უნდა ჰქონდეთ. თუ რატომ, ესეც დიდწილად იმით აიხსნება, რომ ჩინეთი ცენტრალურ აზიაში რუსული პოზიციების გაძლიერების წინააღმდეგია, ხოლო თურქეთისათვის რუსეთთან თანამშრომლობა მხოლოდ ტაქტიკური, ე.წ. „ქორწინება მოხერხებულობისათვის“ (marriage for convenience) მოტივითაა ნაკარნახევი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 8, 2023 წ

## ახალი შინაარსი, ახალი განზომილება

**სტატიაში ვახსენეთ, რომ ჩვენს რეგიონს მოვლენების სწრაფი, შემჭიდროებულ ვადებში განვითარება და ცვლილებები ახასიათებს. შორს რომ არ წავიდეთ, დროის იმ შედარებით მოკლე პერიოდის აღნიშვნაც კმარა, რაც ამ სტატიის დაწერის ჩანაფიქრიდან მის გამოქვეყნებამდე გავიდა. მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში ორი ისეთი ფუნდამენტური პროექტი დაანონსდა, რომელიც პირდაპირ და გრძელვადიან გავლენას მოახდენს, როგორც შუა დერეფნის ახალი შინაარსით შევსებაზე, ისე ჩვენი რეგიონის ახლებურ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებაში მოქცევაზე.**

აქედან ერთი – ანაკლიის ღრმაწყლოვანი საზღვაო პორტი – თავიდან ბოლომდე ქართული „წარმომავლობის“ პროექტია, რომლის მშენებლობა და ამოქმედება ფართო ეკონომიკურ სურათში საქართველოს მაღალი ხარისხით ინტეგრირების მომასწავებელია. გაცხადებული ინიციატივის სარწმუნოობის საფუძველია სახელმწიფოს მზაობა, მონაწილეობა მიიღოს ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობაში. ეს არის დამაჯერებლობისა და მყარი განზრახვის სიგნალი არა მხოლოდ საკუთარი, არამედ საერთაშორისო აუდიტორიის მისამართითაც, რაც, წესით, ყოველგვარ ყოყმანს თუ ეჭვს უნდა აცამტვერებდეს. დანარჩენს, ცხადია, უახლოესი დრო გვიჩვენებს, ვინაიდან ანაკლიის პროექტის რეალიზებას არაერთი ობიექტური თუ სხვა შესაძლო დაბრკოლების გადალახვა მოუწევს.

**მორიგი ინიციატივა, რომელიც სულ ახლახან დაანონსდა და რომელსაც ღრმა გავლენა ექნება რეგიონში მიმდინარე პროცესებზე, არის შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი. მის მრავალგანზომილებიან სტრატეგიულ მნიშვნელობაზე ბევრი ითქვა. თუმცა აღნიშნული პროექტის რეგიონული გავლენის გათვალისწინებით, ამ თემასთან კვლავდაკვლავ მიბრუნება და მისი ხაზგასმით აღნიშვნა არასდროს ზედმეტი არ იქნება. ჩვენც ამ სტატიაში რამდენიმე კრიტიკული ასპექტის ხაზგასმა გვსურს. ზოგიერთი მათგანის შესახებ უკვე არაერთგზის ითქვა, ზოგს კი ახლებური აქცენტებით ჩამოვაყალიბებთ. კერძოდ,შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი: 1). განაპირობებს სუფთა ენერგიაზე გადასვლას; 2). ხელს შეუწყობს ეკონომიკის დეკარბონიზაციას; 3). გახდება შავი ზღვის ორი უკიდურესი ნაპირისა და კასპიის ზღვის დამაკავშირებელი კომუნიკაცია; 4). შექმნის საფუძველს საქართველოს ელექტროენერგიის ჰაბად გადაქცევისა და ქვეყნის ევროკავშირის ელექტროენერგიის ბაზართან ინტეგრირებისა; 5). დაასტიმულირებს ქართულ ენერგეტიკაში ახალ ინვესტიციებს და, ამასთანავე, სოციალური ფონის გაუმჯობესებას; 6). ელექტროენერგიის გამომუშავებისა და მიწოდების ზრდასთან ერთად, ჩვენს ქვეყანას დაეხმარება რეგიონში მისი, როგორც არამარტო სატრანზიტო დამაკავშირებლის, არამედ კონტრიბუტორის როლის უკეთ პოზიციონირებაში; 7). ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებთან ერთად ქმნის საფუძველს მეტი ქართული უსაფრთხოებისათვის; 8). ურთიერთდაკავშირებულობისა და ურთიერთდამოკიდებულების დამატებითი მძლავრი სარტყლის ამოქმედებით შექმნის ახალ მოტივაციას რეგიონში სტაბილურობისა და გართულებების პრევენციისთვის.**

პრაქტიკულად, შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტში მონაწილეობა საქართველოს ეხმარება საკუთარი ეკონომიკური და ეროვნული უსაფრთხოების მთავარი მაიდენტიფიცირებელი ნიშნის – ქვეყნის ფუნქციონალური საჭიროებისა და პრაქტიკული სარგებლიანობის განახლებაში. რეალური ფუნქცია ხომ ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის ის უმთავრესი ამოსავალი პრინციპია, რომლის შესახებაც არაერთხელ გვისაუბრია. ამდენად, გასული საუკუნის გახმაურებული პროექტების (ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზერუმი) შემდეგ, ელექტროკაბელისა და ანაკლიის პროექტები ქვეყნის გეოპოლიტიკურად და გეოეკონომიკურად ოპტიმალური პოზიციონირების შემდგომი რიგის ინდიკატორებია. ამდენად, შესატყვისი ნების დემონსტრირების გზადაგზა, ჯერი ახლა ჩვენს საერთო-ეროვნულ მზაობასა და კონკრეტული ვალდებულებების სათანადო შესრულებაზეა: ვაქციოთ ეს პროექტები (როგორც სხვა, შესატყვისი პროფილის ინიციატივები) რეალურ, პრაქტიკულ სარგებლად.

## მეტი, ვიდრე პროექტი

**ამ სტატიაში მოყვანილი მოსაზრებებით თუ შეფასებებით, ვფიქრობთ, მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენეთ შუა დერეფნის პროექტის მრავალშრიანი და მრავალწახნაგიანი დანიშნულება. პრაქტიკულად, დერეფნის მთელი ხაზის გასწვრივ იგეგმება არა მხოლოდ გადაზიდვებისა თუ ტრანზიტისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული ლოჯისტიკის გამართვა, არამედ პროექტის მონაწილე ქვეყნებს შორის თვისობრივად სხვა, თანამედროვე მოთხოვნებს მისადაგებული, კოორდინაციის ფორმატის ამუშავება. ახალი მსოფლიოს პირობებში, რომელშიც მოვლენათა პროგნოზირებისა და სიცხადის დიდი დეფიციტია, მიზნობრივი თანამშრომლობის ინიციატივებს ამ დეფიციტის შემავსებელი, ერთგვარი საკომპენსაციო როლი შეუძლიათ ითამაშონ. სხვა საშუალებებთან ერთად, მიგვაჩნია, რომ სწორედ ამგვარი მიზნობრივი პროექტებით არის შესაძლებელი ე.წ. რეგიონული დაქსელვის (HUB-AND-SPOKE) ტენდენციის ფონზე წარმოქმნილი მსხვილი ეკონომიკური ჰაბის თვითმყოფადი ფუნქციონირება, დანარჩენ მსხვილ ჰაბებთან ურთიერთმიმართება და ურთიერთკავშირი.**

**შუა დერეფნის პროექტით შეკავშირება, ფაქტობრივად, თავისებური ჰაბია. მისი ექსპლუატაცია, სხვადასხვა მიკროამოცანასთან ერთად, ორ მსხვილ მიზანს ემსახურება: 1). დერეფნის ამოქმედებით ეკონომიკურ-სოციალური ფონის გაუმჯობესებას, კეთილდღეობის ზრდის ხელშემწყობი სარტყლის აღმოცენებას და 2). დერეფნის დიდ გეოგრაფიულ არეალში „ენჯელიზმის“ კონცეფციის (მისი ავტორის, ნორმან ენჯელის მოსაზრების თანახმად) ერთგვარი რეინკარნირების მცდელობას, როდესაც ქვეყნებს შორის თავისუფალმა ვაჭრობამ და მეტმა ურთიერთდამოკიდებულებამ, თითქოსდა, ომისა და კონფლიქტების ალბათობა მკვეთრად უნდა შეამციროს.**

„ეკონომიკის გზით მშვიდობის“ მისაღწევად აღნიშნული მიდგომა იმდენად საინტერესოა, რამდენადაც აქტუალური და წინააღმდეგობრივი. შუა დერეფნის პროექტიც, სავარაუდოდ, სწორედ ამ ფართო დიაპაზონში მოექცევა. პროგნოზებში წლებით წინ „გაქცევაც“ ამ მომენტისათვის არასერიოზული სავარჯიშო იქნება. თუმცაღა, უკვე შესაძლებელია აღინიშნოს ის რამდენიმე ცვლადი, რომელიც გავლენას მოახდენს შუა დერეფნის პროექტის მიმდინარეობაზე. დიდ სურათში ასეთი ცვლადი ფაქტორების ჩამოთვლით რომ არ დავკავდეთ, კონკრეტულად შავი ზღვის დიდ რეგიონთან მიმართებაში ესენია: ა). აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა დინამიკა; ბ). თურქეთის განახლებული როლი რეგიონში; გ). აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის სამშვიდობო შეთანხმების ალბათობა, და დ). თურქეთსა და სომხეთს შორის ურთიერთობათა ნორმალიზების პერსპექტივა.

ფაქტია, რომ შუა დერეფნის პროექტი დამატებით ცხადყოფს, რომ მისი დაფარვის გეოგრაფიულ არეალში პროცესები ახლებურ ეტაპს მიუახლოვდა. ეს განსაკუთრებით იგრძნობა პროექტის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და კომპლექსურ – შავი ზღვის რეგიონში. აქ უკვე არათუ ეტაპზე, არამედ ერთგვარ ისტორიულ გზაგასაყარზეც შეიძლება ლაპარაკი.

**ცხადია, რომ ყველას გვსურს, მოვლენებმა სწორი, ქართული ინტერესებისთვის მისაღები განვითარება ჰპოვოს. ამას კი როგორც იღბლიანი ობიექტური ფაქტორები, ისე სუბიექტურად ჩარევა სჭირდება. ის რაც უდავოა, და ამ დროისთვის დამახასიათებელიც, არის ცვლილებათა სწრაფი ტემპი, ზედმეტად გაჭიანურების გარეშე. ამდენად, ამ წლის ბოლოსთვის სრულიად შესაძლებელია, რომ სტატიაში აღნიშნული არაერთი დაშვება პრაქტიკულად მატერიალიზდეს, განხორციელდეს, ხოლო ესა თუ ის დათქმა კონკრეტულ გარემოებად იქცეს.**



# ეს რამდენი შესაძლებლობია პატარა საქართველოს!

## „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის კატეგორიული პასუხი რუსეთის მიერ ქართული ექსპორტით „სულის მოთქმის“ თაობაზე

**ორიოდე დღის წინ, სი-ენ-ენის ჟურნალისტმა ევროკომისიის პრეზიდენტს, ურსულა ფონ დერ ლაიენს დაუსვა კითხვა, რომელიც საქართველოსთან დაკავშირებულ ყალბ ინფორმაციას ეფუძნებოდა. კერძოდ, ჟურნალისტმა განაცხადა, რომ ვრცელდება ცნობები სხვადასხვა ქვეყნის და განსაკუთრებით, საქართველოს გავლით რუსეთში სანქცირებული საქონლის შეტანის თაობაზე და იკითხა, გადაჭრიდა თუ არა ევროკავშირის სანქციების მომდევნო პაკეტი ამ პრობლემას.**

**სი-ენ-ენი არ არის რიგითი მედიასაშუალება და ამ ფაქტიდან კარგად ჩანს, რამდენად მასშტაბურია კოორდინაცია, რომელიც საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული. შესაბამისად, სი-ენ-ენის ჟურნალისტის მიერ გაჟღერებული ყალბი ინფორმაცია მყისიერ რეაგირებას საჭიროებს.**

**საქართველო რუსეთში სანქცირებულ პროდუქციას რომ ატარებდეს, 2022 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტი არაპროპორციულად უნდა გაზრდილიყო. თუმცა, ვნახოთ, რა ხდება სინამდვილეში:**

2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, საქართველოს მთლიანი ექსპორტის ზრდამ 33 პროცენტი შეადგინა, ხოლო იმავე პერიოდში რუსეთში ექსპორტი მხოლოდ 7 პროცენტით გაიზარდა. ანალოგიურ პერიოდში, საქართველოდან ჩინეთში ექსპორტი გაიზარდა 20 პროცენტით, აზერბაიჯანში – 27 პროცენტით, თურქეთში – 35 პროცენტით, აშშ-ში – 36 პროცენტით, ბულგარეთში – 67 პროცენტით, სომხეთში – 129 პროცენტით, ხოლო ყაზახეთში – 148 პროცენტით. რუსეთში ექსპორტის წილი საქართველოს საერთო ექსპორტში 2022 წელს არათუ არ გაზრდილა, არამედ მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც სი-ენ-ენის ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სიყალბეს უტყუარად ადასტურებს;

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოდან შეტანილი საქონელი რუსეთის 2022 წლის საერთო იმპორტის მხოლოდ 0,3 (!) პროცენტს შეადგენს. ამ ფონზე, როდესაც კონკრეტული უცხოური მედიასაშუალებები ამტკიცებენ, რომ რუსეთი საქართველოდან შეტანილი საქონლით ითქვამს სულს, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან დიდი ტყუილია;

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს საქართველოდან რუსეთში გატანილი საქონლის 3/4-ზე მეტი ალკოჰოლურმა და არაალკოჰოლურმა სასმელებმა, სოფლის მეურნეობის პროდუქციამ და ფეროშენადნობებმა შეადგინა;

ბოლოს, შეგახსენებთ, რომ ვიდრე ჩვენს ქვეყანას რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების შენარჩუნების გამო კიცხავენ, ევროკავშირის ქვეყნები რუსეთს იმპორტირებულ საქონელში ყოველდღიურად (!) ასეულობით მილიონ ევროს უხდიან. ამასთან, 2022 წლის თებერვალ-აგვისტოში, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, გერმანიაში რუსეთიდან იმპორტი გაიზარდა 33 პროცენტით, პოლონეთში – 24 პროცენტით, იტალიაში – 100 პროცენტით, საფრანგეთში – 84 პროცენტით, ნიდერლანდებში – 51 პროცენტით, ბელგიაში – 78 პროცენტით, უნგრეთში – 132 პროცენტით, საბერძნეთში – 142 პროცენტით, ესპანეთში – 51 პროცენტით, ავსტრიაში – 139 პროცენტით, სლოვაკეთში – 71 პროცენტით, ბულგარეთში – 116 პროცენტით, რუმინეთში – 55 პროცენტით, ჩეხეთში – 31 პროცენტით, სლოვენიაში – 346 პროცენტით, ხორვატიაში – 68 პროცენტით, კვიპროსში – 138 პროცენტით, ხოლო ლუქსემბურგში – 262 პროცენტით.

**როცა გავლენიანი უცხოური მედიასაშუალებები ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ამ მასშტაბის სიცრუეს ავრცელებენ, ეს ცალკე პრობლემაა. თუმცა, ამაზე დიდი პრობლემაა, როდესაც იგივე სიცრუეს ქართული რადიკალური ოპოზიცია და მისი კუთვნილი მედიასაშუალებებიც ტირაჟირებენ. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ამ ადამიანებისთვის საქართველოს ეროვნული ინტერესები არაფერს ნიშნავს და სინამდვილეში, ისინი არა საქართველოს, არამედ მის მიმართ მტრულად განწყობილი ძალის სამსახურში დგანან. ასევე, სამწუხაროა, როდესაც ამ სიცრუის ტირაჟირებაში პრეზიდენტიც აიყოლიეს, რომელმაც ბრალდებებზე „კატეგორიული და ფაქტებით გამყარებული პასუხის“ გაცემა მოითხოვა.**

**ეს არის ჩემი კატეგორიული და ფაქტებით გამყარებული პასუხი ცრუ ბრალდებაზე, რომელიც რუსეთის მიერ ქართული ექსპორტით „სულის მოთქმას“ და სანქციების გვერდის ავლას შეეხება.**

# ლაშა ხუციშვილი: ექვისთვის არანაირი საფუძველი არ არსებობს



**ყოველდღიურად ვცვლით ინფორმაციას აშშ-თან, ასევე ევროკავშირთან! შესაბამისად, არანაირი საფუძველი არ არსებობს, ვინმემ ეჭვი შეიტანოს, რომ საქართველოში სანქციების აღსრულება ჯეროვნად არ ხდება,** – ამის შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ლაშა ხუციშვილმა განაცხადა.

**„მინდა, შევეხო ერთ გარემოებას, რომელიც ეხება რუსეთს და რუსეთთან დამოკიდებულებას. ეს საკითხი განიხილება სანქციების აღსრულების ჭრილში. პირველ რიგში, მინდა, აღვნიშნო, რომ ეკონომიკური, ტურიზმის, ექსპორტის მიმართულებით საქართველოში ტურიზმისა და ექსპორტის ზრდა გაცილებით მაღალი იყო რუსეთის გარეშე, ვიდრე რუსეთთან ერთად. ანუ მთელ მსოფლიოსთან ექსპორტი და ტურიზმი გაიზარდა იმაზე მეტად, ვიდრე რუსეთთან მიმართებით. შესაბამისად, ამ ნაწილში უმჯობესია, დავეყრდნოთ ოფიციალურ სტატისტიკას და არსებული სტატისტიკიდან გამოვიტანოთ დასკვნები“.**

ამასთან, როგორც ლაშა ხუციშვილმა აღნიშნა, სანქციების აღსრულების ნაწილში, როგორც საფინანსო სექტორის, ასევე ვაჭრობის ნაწილში, საქართველოს ხელისუფლებისა და ეროვნული ბანკის მიერ ძალიან მკაცრი კონტროლი ხორციელდება.

**„არანაირი საფუძველი არ არსებობს, ვინმემ ეჭვი შეიტანოს იმ ღონისძიებებში, რასაც საქართველო ახორციელებს. ერთმნიშვნელოვნად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან მჭიდრო კომუნიკაციაში ვართ ჩვენს პარტნიორებთან, როგორც აშშ-თან, ასევე ევროკავშირთან. ყოველდღიურ რეჟიმში ხდება ინფორმაციის გაცვლა და კომუნიკაცია. შესაბამისად, არანაირი საფუძველი, ვინმემ ეჭვი შეიტანოს, რომ საქართველოში სანქციების აღსრულება ჯეროვნად არ ხდება, არ არსებობს. პირიქით, ძალიან ბევრი მადლობის წერილი აქვს საქართველოს მიღებული იმ ღონისძიებებისთვის, რაც განხორციელდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რათა სანქციების აღსრულება მოხდეს იმ სტანდარტით, რა სტანდარტიც არის დადგენილი“.**

ფინანსთა მინისტრის თქმით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სანქციების აღსრულების მიმართულებით საქართველო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა.

**„ყველა ინსტრუმენტი, რაც საჭიროა, რომ ქვეყანას გააჩნდეს ამ მიმართულებით, როგორც საბაჟოს მიმართულებით, ასევე საფინანსო მიმართულებით საბანკო სექტორთან დაკავშირებით, ადგილზეა. მუდმივ კომუნიკაციაში ვართ უშუალოდ იმ ორგანოებთან და სააგენტოებთან, რომლებიც ახორციელებენ შესაბამის კონტროლს როგორც ევროკავშირში, ასევე დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში, რომელთაც უშუალოდ დაწესებული აქვთ სანქციები. შესაბამისად, ღონისძიებები, რაც საქართველომ გაატარა, იძლევა გარანტიას, რომ საქართველო პირნათლად ასრულებს მის მიერ აღებულ ვალდებულებებს“...**

# კადრების უკმარისობა ბიზნესის „გულის“ უკმარისობას იწვევს!

**მუშახელის დეფიციტი საქართველოში არა მარტო 2023 წელს, არამედ შემდგომ წლებშიც პრობლემური იქნება. შეიძლება ითქვას ამ მიმართულებით სერიოზული კრიზისია და მისი მოგვარებაც სწრაფად ვერ მოხერხდება. მთავრობა იძულებულია საქმეში ჩაერთოს. მიმდინარე წელს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ბიუჯეტიდან 2 500 000 ლარი დაიხარჯება.**

რეალურად ბიზნესი კადრების დიდ სიმცირეს განიცდის და ის თანდათან ეკონომიკისთვის მთავარ პრობლემად სახელდება. ირკვევა, რომ საქართველოში დასაქმებულთა თითქმის 40% ნახევარ განაკვეთზე მუშაობს, ანუ კვირაში 35 საათზე ნაკლებს. ამ მაჩვენებლით საქართველო საშუალო და საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნების ჯგუფში მესამე ადგილს იკავებს. გლობალურად, 35 საათზე ნაკლებს კვირაში დასაქმებულთა მხოლოდ 20.3% მუშაობს, ხოლო 35%-ზე მეტი – კვირაში 48 საათზე მეტს უთმობს სამუშაოს.

კადრების დეფიციტი განსაკუთრებით მომსახურების სფეროსთვის არის დამახასიათებელი, უფრო კონკრეტულად კი ჰორეკა სექტორისთვის, რასაც რესტორატორთა ასოციაციის დამფუძნებელი **შოთა ბურჯანაძეც** ადასტურებს. პანდემიის შემდეგ სფერომ დაკარგა ბევრი მუშახელი, რომლებიც სხვაგან მუშაობენ და აღარ უნდათ დაბრუნება.

**„ძალიან რთულია ადამიანების პოვნა, რომლებსაც სურვილი გააჩნიათ, იმუშაონ, არაა საუბარი პროფესიონალ მუშახელზე. ამის მიზეზი სხვა სფეროში გადასული ადამიანებია, რომლებიც სტაბილურად გრძნობენ ახლა თავს და არ უნდათ უკან დაბრუნება, რადგან არასტაბილურად იყო ჩვენი სფერო აღქმული პანდემიის დროს.**

**მეორე მიზეზი არის ქვეყნიდან გასული მუშახელი. კიდევ უფრო რთული პრობლემაა მენტალური საკითხი. ადამიანები, რომლებიც ფინანსდებიან ემიგრანტებისგან და ეს თანხა საკმაოდ დიდია, უარს ამბობენ სამსახურებზე, რომლებიც არსებობს როგორც მათი პროფესიის შესაბამისად, ასევე უპროფესიო ადამიანებისთვისაც.**

**ადამიანებს არ აქვთ სურვილი ასეთი სამსახურებით იყვნენ დაკავებული და მათი სურვილია, პირდაპირ მაღალანაზღაურებად ადგილებზე დასაქმდნენ, იმის მიუხედავად, შესაბამისი განათლება აქვთ თუ არა. ეს ზოგადად, მენტალური პრობლემაა და არაა მარტივად გადასაწყვეტი“**, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

მუშახელის პრობლემაზე საუბრობს მეფრინველეობის ფაბრიკა „კუმისის“ დამფუძნებელი, ბიზნესმენი **ზურაბ უჩუმბეგაშვილიც**, რომლის განცხადებითაც, 2023 წელს ბიზნესის კადრებთან დაკავშირებით შეიძლება სერიოზულ გასაჭირში აღმოჩნდეს.

**„კომპანიაში 200 დასაქმებულია, თუმცა მუდმივი კადრების გარდა, გვიწევს დროებითი დასაქმებაც, რა მხრივაც საქმე საკმაოდ რთულადაა. ხშირად არის დეფიციტი, თან კვალიფიკაციის პრობლემაცაა. დღესდღეობით ვუძლებთ, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება სამომავლოდ უფრო გაგვიჭირდეს.**



იხ. 9 გვ.

# სევდა სიცოცხლის ხისა, ანუ „მუხლი კვდებოდაო, მუხა რჩებოდაო“!





## ქალაქ თბილისის მერს, ბატონ კახა კალაძეს!



ბატონო კახა, სასიამოვნოდ ვიყავით გაოცებული, როცა ქვეყნის მთავარი ნაძვის ხის ქვეშ ვიხილეთ წარწერა „მშვიდობის ქალაქი“. ასევე არანაკლებ ნასიამოვნები დავრჩით, როცა გავიგეთ თქვენი პროექტის შესახებ ბაღებისა და პარკების გაშენებასთან დაკავშირებით, რამდენადაც ორივე — საყოველთაო მშვიდობაც და პარკების მომრავლებაც წარმოადგენს ჩვენი მთავარი პროექტის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, რომლის შესახებაც დეტალურად მოთხრობილია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2022 წლის 12 ოქტომბრის ნომერში, რაშიც ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწია ამ გაზეთის მთავარმა რედაქტორმა, ბატონმა სპარტაკ ქობულიამ.

პროექტს საფუძვლად დაედო შემთხვევა, რომელსაც ახლა მოგახსენებთ:

...ბიძაჩემი აპალონ ხორავა იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე და იბრძოდა ქალაქ ნიკოლაევის მიდამოებში. ერთხელ ის ფეხში დაჭრილა მდინარის გადმოცურვისას და გარდაუვალი სიკვდილისგან გადაურჩენია ერთ-ერთ გერმანელ ოფიცერს, რომელიც იქ შემთხვევით აღმოჩენილა.

გერმანელმა ბიძაჩემი წყლიდან ამოიყვანა და ფეხს რომ უხვევდა, თვითონაც მოხვდრია ბრმა ტყვია და მძიმედ დაჭრილა.

როცა გერმანელი მიხვდა, რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა, მოუხსნია ყელზე დაკიდებული ამულეტი და მიუცია ბიძაჩემისთვის, შინ, სახლში რომ დაბრუნდები, დედაშენს გადაეცი გერმანელი დედებისგან საჩუქრადო. თან უთქვამს, რომ ეს ამულეტი დედას უჩუქნია მისთვის, როცა ომში მიმავალს აცილებდა. დედამისის თქმით, ამ ამულეტს აცხია იმ დედების ცრემლი, რომლებიც თავიანი შვილებს აცილებდნენ ომშიო. ყველაზე გასაოცარი ჩემთვის ის იყო, რომ იმ გერმანელ ოფიცერს უთქვამს, გერმანელი დედების უმეტესობა უფრო მეტად წუხდნენ და განიცდიდნენ არა იმას, რომ მათი შვილი შეიძლება გარდაცვლილიყო ომში, არამედ იმას, რომ მის შვილს სხვა ეროვნების დედისთვის შვილი უნდა მოეკლაო. ამ ურთიერთობის მერე ის გერმანელი ოფიცერი მალევე გარდაცვლილა, ხოლო დაჭრილი ბიძაჩემი თავისიანებს წამოუყვანიათ... დაჭრილი აპალონ ხორავა ქალაქ ბაქოს ჰოსპიტალში გადაუყვანიათ. იმ ჰოსპიტალში ერთი ჯარისკაცი წოლილა ჩემი მეზობელი სოფლიდან, რომელსაც ერთი ფეხი არ ჰქონია. ბიძაჩემს ამ კაცისთვის გაუტნევია ეს ამულეტი, რომელმაც ბებიაჩემს გადასცა წერილთან ერთად. ბებიაჩემმა ეს ამულეტი მე მიანდერძა სიკვდილის წინ და დღესაც სათუთად ვინახავ. როცა წამოვიზარდე და გავაცნობიერე გერმანელი დედების სულიერება და ჰუმანურობა, გადავწყვიტე, ჩემი მთავარი მიზანი მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება ყოფილიყო.



**„გმირთა სავანე“, ასე გვინდა ეწოდოს პარკს, რომელიც გაშენდება თბილისის შემოგარენში, სადაც თითოეული დარგული ხე იქნება ყველა იმ ჯარისკაცის სახელობისა, რომლებიც მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე შეეწირნენ სხვადასხვა შეიარაღებულ კონფლიქტებს, ასევე იმ უცხოელ სამხედრო ტყვეთა სახელზეც, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არიან დაკრძალულნი.**



2014 წელს დავაარსეთ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „დედის ცრემლები“, რომლის ძირითადი მიზანი სწორედ მსოფლიოში მშვიდობის დამყარებისთვის ხელშეწყობა-განმტკიცება ყოფილიყო..

მე გამიჩნდა იდეა, ამეგო მშვიდობის სახლი, სადაც თითოეული აგური დაიდება ყველა იმ ჯარისკაცის სახელის უკვდავსაყოფად, რომლებიც მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული დღემდე, შეეწირნენ სხვადასხვა ომებსა თუ შეიარაღებულ კონფლიქტებს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მხარეს იბრძოდნენ ისინი. აქ საუბარია გერმანელებზე, რუსებზე, უკრაინელებზე, ქართველებზე, აფხაზებზე, ოსებსა და სხვა ქვეყნების და ერების შვილებზე.

ეს რაც შეეხება ჩვენს მიზანს...

ახლა კი მინდა გიამბოთ იმ 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცის შესახებ, რომლებიც კავკასიის მთის ერთ-ერთ ხეობაში არიან ზვავში მოყოლილნი და ჩამარხულნი! ამ ადგილს შემთხვევით წააწყდნენ მონადირეები და მაშინვე მოგვმართეს ჩვენ, რათა როგორმე ჩამოგვესვენებინა ისინი ბარში, მოგვეხდინა მათი იდენტიფიცირება და ხმა მიგვეწვდინა მათი ოჯახის წევრებისთვის.

ჩვენ ამის შესახებ ვაცნობეთ გერმანიის საელჩოს საქართველოში.

ზემოაღნიშნული შემთხვევა დაედო საფუძვლად იმ პროექტს, რომლის მიხედვითაც უნდა გაგვეშენებინა პარკი, რომელსაც თავისი ორიგინალური მიდგომით მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია. ეს პროექტი ითვალისწინებს თითოეულ დარგულ ხეში ყველა იმ ჯარისკაცის „გაცოცხლებას“, რომლებიც მეორე მსოფლიო ომიდან დღემდე, შეეწირნენ სხვადასხვა ომებსა თუ შეიარაღებულ კონფლიქტებს, განურჩევლად იმისა, თუ რომელ მხარეს იბრძოდნენ ისინი, რითაც ჩვენ უდიდეს სიხარულს მივანიჭებთ მათ შთამომავლობას და ახლობელ ადამიანებს. აქ საუბარია მეორე მსოფლიო ომში გარდაცვლილ 300 000 ქართველ ჯარისკაცზე, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე დაკრძალულ 73 000 გერმანელ სამხედრო ტყვეზე, ასევე საქართველოს შიდა კონფლიქტებში გარდაცვლილ ქართველ, აფხაზ, ოს და რუს მებრძოლებზე.

აღნიშნული პროექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისი სულიერი დატვირთვით და ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია ეკოლოგიური თვალსაზრისითაც, რამდენადაც ჩვენი პლანეტა დგას ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე.

ბატონო კახა!

ამ პროექტის განსახორციელებლად გამოვიყენებთ მარადმწვანე მუხის ნერგებს, რომელსაც სიცოცხლის ხესაც ეძახიან და რომელიც გარკვეულწილად საქართველოს სიმბოლოდაც მოიაზრება („მუმლი მუხასაო, გარს ეხვეოდაო“, მუმლი კვდებოდაო, მუხა რჩებოდაო“!).

ამ პროექტში თქვენი მონაწილეობა უნდა გამოიხატოს იმ მამულიშვილური გადაწყვეტილებით, რომელიც ქალაქგარეთ შესაფერისი მიწის ნაკვეთების გამოყოფას გულისხმობს. ჩვენ უკვე მოძიებული გვაქვს ასეთი ადგილები, რასაც პირადი შეხვედრის დროს დაგიდასტურებთ.

დიახ, ამ პროექტის უდიდესი მნიშვნელობის თაობაზე უფრო მარტივად და გასაგებად მოგითხრობთ ჩვენი საქმიანი შეხვედრის დროს. მთავარი ის არის, რომ სპონსორ-დამფინანსებელი ნაპოვნი გვყავს და თბილისის მერიას თანხის გაცემა არ დასჭირდება! პირიქით, ევროპელი ინვესტორები იქით შეეწევიან ქვეყნისა და ქალაქის ბიუჯეტს.

ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებით, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არასოდეს დაივიწყებს თქვენ მიერ გადადგმულ ღირსეულ ნაბიჯს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. ასევე თქვენ შესაძლებლობა მოგეცემათ, მოუწოდოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქების მერებს, მოგბაძონ და ანალოგიური პროექტები განახორციელონ თავიანთ ქვეყნებში, რითაც უზარმაზარ წვლილს შეიტანენ ჩვენი პლანეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

**პატივისცემით,**

**საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „დედის ცრემლების“ და მსოფლიო მშვიდობის სახლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი**

**დავით ჭითავა.**

**ტელ: 557-40-00-65**



**P.S. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ კეთილშობილურ წამოწყებაში გვერდით დაგვიდგება საქართველოს თითოეული მოქალაქე, ვისთვისაც მნიშვნელოვანია მათთვის ძვირფასი ადამიანების ხსოვნა და მომავალი თაობებისთვის სუფთა გარემოს შექმნა. ასევე, თხოვნით მივმართავთ ბიზნესმენებს, ხელოვნების, კულტურისა და სპორტის წარმომადგენლებს, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, დახმარება აღმოგვიჩინონ ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებაში.**

**დ. ჭ.**

**„ხალხის ძალა“: USAID-ის პროექტ „პროლოგის“ მცდელობა, სასამართლო სისტემაზე საელჩოსა და „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური გავლენა აღადგინონ. საზოგადოებამ სათანადოდ უნდა შეაფასოს**





ინგა თოდრია


ნინო ბაქაქური


მამუკა წიკლაური

# ეს უსინდისო ინგა თოდრია ბრიყვია თუ „პროლოგის“ ამორძალი?!

„**უკანასკნელ წლებში**, საქართველოს სუვერენიტეტზე შეტევის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება სასამართლო ხელისუფლების მიტაცების გამუდმებული მცდელობა იყო, რასთან დაკავშირებითაც ქართველი საზოგადოება ფართოდ უნდა იყოს ინფორმირებული.

„მოვდუნდით 10 წლით და მივეცით ქვეყანა ოლიგარქს სამართავად. ბებერმა ევროპამ შეგვაღვიძა და დეოლიგარქიზაციის დრო მოვიდაო. ახლა გაღვიძება და ფეხზე დადგომა უკვე ჩვენზეა. ახლა გამოჩნდება, რისი ტრ... გვაქვს“ – ეს ფეისბუქპოსტი ეკუთვნის არა „ნაცმოძრაობის“ რომელიმე ღია აქტივისტს, არამედ **USAID**-ის კანონის უზენაესობის პროექტის – „პროლოგის“ ხელმძღვანელის მოადგილეს, ინგა თოდრიას.

„პროლოგი“ საქართველოში უკვე მრავალი წელია, საქმიანობს. სწორედ საელჩოს ძალისხმევით ჩაატარეს 1998-2001 წლებში ე.წ. სასამართლო რეფორმა მიხეილ საააკაშვილს. ასევე, მათი მხარდაჭერით განხორციელდა „ნაცმოძრაობის“ მიერ სასამართლო სისტემის წმენდა 2004-05 წლებში, რომლის შედეგად კონსტიტუციის დარღვევით თანამდებობიდან ათეულობით მოსამართლე განთავისუფლდა და საააკაშვილი-ადეიშვილის ტანდემმა მართლმსაჯულებაზე სრული პოლიტიკური კონტროლი დაამყარა. აღნიშნული წმენდის არაკონსტიტუციურობის მიუხედავად, საერთაშორისო პარტნიორებს ამ პროცესის მიმართ არავითარი შენიშვნა არ გამოუთქვამთ. 2004-12 წლებში სასამართლო ისე იქცა „ნაცმოძრაობის“ რეპრესიული რეჟიმის ერთ-ერთ მთავარ რგოლად, რომ საელჩო ამაზე არათუ ხმას არ იღებდა, პირიქით, სისტემის მთავარ მფარველად გვევლინებოდა.

სასამართლო სისტემაზე თავდასხმა „პროლოგმა“ მხოლოდ 2015 წლის შემდეგ დაიწყო, როდესაც სისტემა „ნაცმოძრაობის“ გავლენებისგან საბოლოოდ გათავისუფლდა. ფაქტია, რომ საააკაშვილი-ადეიშვილის სასამართლოს მთავარ მფარველებს გაჯანსაღებული სასამართლო სისტემა არ მოსწონთ, რისი მიზეზიც მხოლოდ ერთი – პოლიტიკური ინტერესი შეიძლება იყოს. დღეს „პროლოგი“ ითხოვს უპრეცედენტო ცვლილებებს კანონმდებლობაში, რომელთა ერთადერთი მიზანი სასამართლო სისტემაზე „ნაცმოძრაობის“ გავლენის დაბრუნებაა. შემოთავაზებულ ცვლილებებს შორის მთავარი ე.წ. კვალიფიციური უმრავლესობის წესია, რომელიც რადიკალურ ოპოზიციას სასამართლოსთან დაკავშირებულ საკადრო გადაწყვეტილებებზე ვეტოს უფლებას ანიჭებს.

მათ უნდათ, საქართველოში მიიღონ შედეგი, რომელიც ალბანეთსა და უკრაინაში უკვე მიიღეს. ორივე შემთხვევაში შეიქმნა სასამართლო სისტემის წმენდისა და ხელახალი ფორმირების მექანიზმი, რომელშიც გადამწყვეტი სიტყვა უცხოელებს ეთქმით. ანუ სახელმწიფო თმობს სუვერენიტეტს და სასამართლოს მართვის ბერკეტებს, ფორმალურადაც კი, უცხოურ ძალას გადასცემს. შესაბამისი კანონმდებლობის არაკონსტიტუციურობის მიუხედავად, ვენეციის კომისიას არც ალბანურ და არც უკრაინულ მოდელზე შენიშვნები არ გამოუთქვამს.

სამაგიეროდ, საჯარო წყაროებში ხელმისაწვდომია რამდენიმე სენატორის მიერ თავის დროზე ამერიკის პრეზიდენტისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც ისინი დეტალურად აღწერენ, თუ როგორ ჩაუგდეს ხელში USAID-მა, სოროსის ფონდმა და „ისტ-უესტ მენეჯმენტ ინსტიტუტმა“ სასამართლო სისტემა ალბანეთის სოციალისტურ მთავრობას, რომელიც მთლიანად ამერიკელების მიერ კონტროლდებოდა. საინტერესოა, რომ „პროლოგის“ პროექტსაც საქართველოში USAID-ი კურირებს და „ისტ-უესტ მენეჯმენტ ინსტიტუტი“ ახორციელებს.

არსებითად, სწორედ „პროლოგის“ მეშვეობით ცდილობს საელჩო ქართულ სასამართლო სისტემაზე გავლენის მოპოვებას, რისი ერთ-ერთი მექანიზმიც „ნაცმოძრაობასთან“ დაკავშირებული მოსამართლეების ამერიკული ვოიაჟებითა და მსგავსი ტიპის ღონისძიებებით პერმანენტული წახალისებაა. ამგვარ მოსამართლეებს შორის არიან, მაგალითად, ნინო ბაქაქური და მამუკა წიკლაური, რომელთაგან ერთი – უხეში უდისციპლინობით, ხოლო მეორე სკანდალური გადაწყვეტილებებით გამოირჩევა.

„პროლოგი“ აგრძელებს კონსტიტუციური ორგანოს – იუსტიციის უმაღლესი საბჭოს „არაღიარების პოლიტიკას“, რაც ჩვენი კონსტიტუციური სისტემის მიმართ უპატივცემულობის უხეში გამოვლინებაა. ასევე, „პროლოგის“ დაფინანსებით წარმოებს სასამართლოს მადისკრედიტირებელი პიარკამპანიები და ხორციელდება სასამართლო სისტემის ე.წ. კლანად ბრენდირება საბჭოური პროპაგანდის მეთოდებით. „პროლოგის“ დაუფარავი მცდელობა, შეაღწიონ სასამართლო სისტემაში და მასზე საელჩოს და „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური გავლენა აღადგინონ, საზოგადოებამ სათანადოდ უნდა შეაფასოს და მას ხელისუფლებამ შესაბამისი ზომები უნდა დაუპირისპიროს.

საზოგადოებას ეტაპობრივად მივაწვდით შედარებით დეტალურ ინფორმაციას ამ თემის შესახებ, რათა ვერავინ მიიტაცოს საქართველოს სასამართლო სისტემა და ვერავინ დააბრუნოს ის მანკიერება, რომელმაც 2004-12 წლებში ჩვენი ქვეყნის უამრავი მოქალაქის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა შეიწირა.

ღრმად გვწამს, რომ ქართული მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის დაცვაც მხოლოდ სიმართლით აღჭურვილ ხალხის ძალას შეუძლია“!



## კეზერაშვილო! – დარჩა რამე, რაც კიდევ შეიძლება იკადრო?

**ღირსების მქონე საზოგადოებისთვის მართლაც ძნელი მოსასმენია ის ყველაფერი, რასაც საუბრობს და რაზეც მიდის ჩემი კონკურენტის მხარე შიდაპარტიულ არჩევნებში, პრაქტიკულად, გადაუკვეთავი აღარ დატოვეს არცერთი წითელი ხაზი, დღეს „საჩუქრების“ წამოძახებაზე გადავიდნენ,** – ამის შესახებ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ნიკა მელია სოციალურ ქსელში წერს. მელიას თქმით, „ეს ყველაფერი, გარდა იმისა, რომ მდაბიო საქციელია, უამრავი ტყუილით, სპეკულაციით და ცილისწამებითაა სავსე“.

**„ვწუხვარ და მეუხერხულება კიდეც, ამ თემაზე რომ ვწერ სტატუსს მაშინ, როცა უზარმაზარი გამოწვევის წინაშე დგას პარტიაც და ქვეყანაც, მაგრამ პროპაგანდა ასე მუშაობს – დღეს ბევრი ამ თემაზე წერს და სატელევიზიო ეთერებსაც უთმობენ და ვალდებული ვარ, პირველ რიგში, ენმ-ის მხარდამჭერებს ვუთხრა სიმართლე.**

**ავტომობილზე ვწერ, მეგობრებო, იმ ავტომობილზე, რითიც პარტიის თავმჯდომარე რამდენიმე თვის განმავლობაში გადაადგილდებოდა.**

**ციხიდან გამოსვლის შემდეგ მეგობრებმა ჩათვალეს, რომ მჭირდებოდა დაცვა და, შესაბამისად, დამატებითი ავტომობილი. დაცვას გადავეცი ოჯახის საკუთრებაში მყოფი, მე კი ვსარგებლობდი პარტიის ავტომობილით (ქფჭუკფეშ), რომელიც პარტიას, კობა ნაყოფიას თხოვნით, ათხოვა ბატონმა ზაზა ოქუაშვილმა. მახსოვს, ამ ნათხოვარმა ავტომობილმაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. არც ის იყო ჩემი.**

**დამატებითი ავტომობილის არანაირი საჭიროება არ გვქონდა, როდესაც ერთ დღეს, ჩემთვის მოულოდნელად პეტრე ცისკარიშვილმა და ზურაბ მელიქიშვილმა მითხრეს, რომ პარტიის ავტოფარეხში იდგა მეორადი ავტომობილი, რომელიც გამოგზავნა დავით კეზერაშვილმა. ცხადია, არ მითხოვია, თავად გადაწყვიტა თავისი სურვილით და მოგვიანებით სატელეფონო საუბრისასაც ასეც აღნიშნა. მას შემდეგ, რაც დავინახე დავით კეზერაშვილისგან მცდელობა, ჩარეულიყო შიდა პარტიულ პროცესებში, რამდენჯერმე (2021 წლის ივნისის თვიდან) ვცადეთ ამ ავტომობილის მისთვის დაბრუნება.**

**ბოლოს, ამ თვე-ნახევრის წინაც ვთხოვე ბაჩო დოლიძეს, გადაეცა კეზერაშვილის ოჯახის წევრისთვის, დიმა ჩიქოვანისთვის, რომელმაც არ ჩაიბარა ეს ავტომობილი და იგი დღემდე დგას პარტიის ავტოფარეხში. აი, ასე იყო ეს ამბავი და არა ისე, როგორც ფუთავენ და ავრცელებენ მერაბიშვილი/კეზერაშვილის მხარდამჭერი კოლეგები. ბატონებო, კეზერაშვილის „ნაჩუქარი“ ავტომობილი პარტიის ავტოფარეხშია. David Kezerashvili, დარჩა რამე, რაც კიდევ შეიძლება იკადროთ?“** – წერს მელია „ფეისბუქში“.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ლევან ბეჟაშვილმა ნიკა მელიასა და დავით კეზერაშვილზე საუბრისას განაცხადა, რომ „რამდენიმე არჩევნების დროს ნიკა მელიას პირადად ეხმარებოდნენ, მიუღია საჩუქრებიც, ძვირად ღირებული ავტომობილი, რომლითაც ის დღეს დადის“.

## თამარ ჩერგოლეიშვილი: მელიას მანქანას რა უჭირს, ხაზეს კბილები არ დააყვედრონ!



**მელიას მანქანას რა უჭირს, ხაზეს კბილები არ დააყვედრონ,** – ამის შესახებ „ტაბულას“ დამფუძნებელი თამარ ჩერგოლეიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

**„შემოვიდა მელიქიშვილი და მითხრა, კეზერაშვილმა კბილები უნდა ჩაგისვასო...**

**უკვე თვეებია, კეზერას დაფინანსებული კბილები პარტიის სამზარეულოში დევს, ჭიქაში! – ვუთხარი კეზერას ნათესავს, წაიღეთ, აღარ მინდაო, მაგრამ უარი მივიღე“,** – წერს თამარ ჩერგოლეიშვილი.

ბეჟაშვილის განცხადებას „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ნიკა მელია გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა: **„ღირსების მქონე საზოგადოებისთვის მართლაც ძნელი მოსასმენია ის ყველაფერი, რასაც საუბრობს და რაზეც მიდის ჩემი კონკურენტის მხარე შიდაპარტიულ არჩევნებში, პრაქტიკულად, გადაუკვეთავი აღარ დატოვეს არცერთი წითელი ხაზი, დღეს „საჩუქრების“ წამოძახებაზე გადავიდნენ. ეს ყველაფერი, გარდა იმისა, რომ მდაბიო საქციელია, უამრავი ტყუილით, სპეკულაციით და ცილისწამებითაა სავსე“.**

## გლობალური კატასტროფის პროგნოზი

# მეექვსედაც გადავშენდებით?




**ამერიკული სამეცნიერო ჟურნალი SCIENCE ADVANCES წერს, რომ საუკუნის დამლევს მსოფლიო ბიომრავალფეროვნების მეოთხედზე მეტი განადგურდება. ავსტრალიელმა მეცნიერებმა ადელაიდის უნივერსიტეტიდან ეს კვლევა სუპერკომპიუტერის მეშვეობით ჩაატარეს. ისინი მიიჩნევენ, რომ კლიმატის ცვლილების გამანადგურებელი პროცესი უკვე დაწყებულია და ახლა პლანეტა მეექვსედ დგას „დიდი გადაშენების“ ზღვარზე. გადაშენების მიზეზი უამრავია, შეიცვალა მიწათსარგებლობის პროცესი, მოსავალს ზედმეტად ხშირად იღებენ, ბუნება ბინძურდება, კლიმატი იცვლება... მაგრამ სანამ გარდაუვალ აპოკალიფსზე ვისაუბრებდეთ, კარგი იქნება ის ხუთი გლობალური კატასტროფა გავიხსენოთ, რომელმაც დედამიწაზე სიცოცხლე მოსპო.**

### თითქოს შუქი ჩააქრესო...

**ნახევარი მილიონი წლის წინ პლანეტაზე ფანეროზოური პერიოდი დაიწყო – „დრო სიცოცხლის აშკარა ნიშნებით“, ანუ ეპოქა, რომელიც, მეცნიერებისდა გასახარად, ჩონჩხებს, ნიჟარებს, ნამარხებს ტოვებს. ამ პერიოდის ნიადაგის სხვადასხვა ფენების შესწავლისას შესაძლებელია გაიგო, რა გადაშენდა და რა – პირიქით, წარმოიქმნა.**

მაგრამ ამ ეპოქასაც აქვს თავისი საიდუმლოებები, ისეთები როგორიცაა დიდი გადაშენებები.

პირველი – **ორდოვიკურ-სილურული** – სიცოცხლის აშკარა ნიშნების წარმოქმნიდან „მალევე“ მოხდა – 440 მილიონი წლის წინ. მაშინ სიცოცხლე მხოლოდ ოკეანეში იყო, ამიტომ მხოლოდ წყლის პრიმიტიული ორგანიზმები დაზარალდნენ: ბრიოზოები, ბრაქიოპოდები, ორსაგდულიანი მოლუსკები, ზღვის ზღარბები. მილიონ წელზე ნაკლებ დროში გადაშენდა ოკეანის ბინადართა 85 პროცენტი. მიზეზი ბოლომდე ნათელი არ არის. დიდმა გამყინვარებამ იმოქმედა ასე თუ მზის სისტემასთან ზეახალი ვარსკვლავის აფეთქებამ, არ ვიცით. ეს უფრო სამეცნიერო ფანტაზიის სფეროა, რადგან 440 მილიონი წელი ძალიან დიდი დროა დეტალების დასადგენად. ისიც კი გასაკვირია, რომ ამ არსებების ნაშთი შემორჩა.

გადაშენების მეორე ფაზა – **დევონური პერიოდი** – 364 მილიონი წლის წინ დადგა. მაშინ წყლის ცხოველების გარდა ხმელეთზეც მოიძებნებოდა რაღაც ცოცხალი, თუნდაც მწერები და მცენარეები. თან უკვე მწერებიც კარგა მოზრდილები იყვნენ და მცენარეებიც – ხეების სიმაღლე 30 მეტრს აღწევდა! მაშინდელი სახეობების ნახევარი ორი მილიონი წლით გაქრა, მიზეზი ისევ უცნობია, მაგრამ ამ გადაშენების შემდეგ მივიღეთ მყარი ნახშირის პირველი ფენები, შესაძლებელია, ნავთობი და ბუნებრივი აირიც.

დიდი გადაშენების შემთხვევები მოგვიანებითაც იყო – **ტრიასული პერიოდი** – 200 მილიონი წლის წინ, რომელმაც ამფიბიების ნახევარი შეიწირა და დინოზავრების განვითარებას მისცა გასაქანი. ასევე იყო **ცარცულ-პალეოგენური** პერიოდი 66 მილიონი წლის წინ, რომელზეც ბავშვებისთვის მულტფილმებს იღებენ. ამ პერიოდში დინოზავრები უკვე აღარ არიან, მათ ადგილი ძუძუმწოვრებს დაუთმეს.

ამ კატასტროფების მიზეზები რამდენიმეა: ისინი ძირითადად ან უზარმაზარი ასტეროიდის ჩამოვარდნას უკავშირდება, რამაც დედამიწაზე კლიმატის ცვლილება გამოიწვია, ან ვულკანების ამოფრქვევას, ლითოსფეროს ფილების მოძრაობას და ისევ გლობალურ აცივებას. მეცნიერები თითქმის ყოველწლიურად პოულობენ ნივთმტკიცებებს ამა თუ იმ ჰიპოთეზის სასარგებლოდ, ხან კრატერს, ხან – ლავის ნარჩენებს. მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასობით მილიონი წელი დიდი დროა გეოლოგიური პროცესებისთვის. ოკეანის სიღრმეში მიწის ქერქი მალე ახერხებს აღდგენას და მას მეტეორიტის კვალი უკვე აღარ ეტყობა. მეტეორიტი კი დიდი ალბათობით სწორედ ოკეანეში ჩავარდებოდა. ამიტომ მთელი ეს აღმოჩენები უფრო სპეკულაციაა და სამეცნიერო ფილმებისთვის თუ გამოდგება, მით უფრო, რომ კლიმატის ცვლილება მალე არ ხდება და თან საკმაოდ მოსაწყენი რამეა. ზღვის ზღარბები, წყალმცენარეები, მცენარეები ერთი ხელის მოსმით არ ორთქლდებოდნენ - მათ გაქრობას 100 ათასი ან მილიონი წელი სჭირდებოდა.


ალექსანდრ ჩეკანოვსკი

მაგრამ ყველაზე დიდი გადაშენება, რომელიც 252 მილიონი წლის წინ მოხდა, თან ყველაზე იმპულსურიც იყო - თითქოს შუქი გამორთესო. სულ რაღაც ათასწლეულებში (შესაძლოა წლების და დღეების განმავლობაშიც - ჩვენ ამის შესახებ ზუსტად არ ვიცით) ცოცხალი ორგანიზმების 95 პროცენტი მიწის პირიდან აღიგავა.

ეს მოხდა პერმული პერიოდის ბოლოს (მას ასე პერმში ნანახი სამარხის გამო ეწოდა). მიზეზი ამ დიდი გადაშენებისა, რომლის შემდეგაც დედამიწა კინაღამ უსიცოცხლო, მარსის მაგვარ პლანეტად გადაიქცა რუსეთში, ციმბირში მდებარეობს.

### ალექსანდრ ჩეკანოვსკი და ციმბირის ტრაპები

**უკრაინაში დაბადებული პოლონელი ალექსანდრ ჩეკანოვსკი ბიოლოგიით იყო გატაცებული, კიევის გიმნაზიის დასრულების შემდეგ კი გეოლოგია შეისწავლა. ოჯახური საქმეების გამო პოლონეთში დაბრუნება მოუხდა. ეს ის დროა, როდესაც პოლონეთი რუსეთის იმპერიას აუჯანყდა. აჯანყებაში მონაწილეობა მანაც მიიღო, რის გამოც ციმბირში გადაასახლეს, მასთან ერთად გადასახლებაში მოჰყვა კიდევ ერთი მეცნიერიც.**

ირკუტსკის გზაზე ისინი ბიოლოგიურ კოლექციას აგროვებდნენ. ჩეკანოვსკიმ ჩვეულებრივი შუშა ქვიშითა და ცხვირსახოცით გააპრიალა და გამადიდებელ შუშად აქცია. მისი მეგობარი ამ შუშით ჭიანჭველებს აკვირდებოდა. ეტაპის ბოლომდე ჭიანჭველების მანამდე უცნობი ორი სახეობა აღმოჩინეს.

ასეთი ხალხი ციმბირში ძალიან სჭირდებოდათ – ამიტომაც მათი კატორღა ლამის დაწყებამდე დასრულდა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიიდან მათ გამოსახსნელად უამრავი წერილი იწერებოდა. მალე ჩეკანოვსკი ანგარის ნაპირებზე აღმოჩნდა, იქ ნება დართეს გეოლოგიური კვლევები ჩაეტარებინა. შემდეგ ირკუტსკში გადაიყვანეს, სადაც ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც გადასახლებული იყო, რუსული გეოგრაფიული საზოგადოების წევრი გახდა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ციმბირზე მონოგრაფია დაწერა. უკვე შემდეგ წლებში ის ტუნგუსკის რაიონში ექსპედიციას ხელმძღვანელობდა. სწორედ იქ აღმოაჩინა ციმბირული ტრაპები, რომლებსაც უზარმაზარი ტერიტორია ეკავათ. აღმოსაჩენი რა იყო, უბრალოდ პირველად ის მიხვდა, ეს მთები სინამდვილეში რას წარმოადგენდა. მანვე გამოიყენა პირველად სიტყვა „ტრაპი“, რაც შვედურ ენაზე კიბეს ნიშნავს და ზუსტად აღწერს სურათს, რომელიც თვალწინ გეშლება – გიგანტური საფეხურები, თითქოს კლდეშია გამოკვეთილი და პლატოსკენ მიემართება. ასეთი გეოლოგიური კონსტრუქცია მაშინ ჩნდება, როდესაც მიწის შუაგულიდან გამდნარი ლავა ამოასხამს, თან ათასობით კუბურ კილომეტრზე. გაქვავების შემდეგ ის თითქოს ბაზალტის ტბად იქცევა, მილიონი წლების განმავლობაში წყალი და ქარი მას ყველა მხრიდან აშალაშინებს და საფეხურებიც ასე წარმოიქმნება.

ციმბირული ტრაპები პლანეტის მსგავს წარმონაქმნებს შორის ყველაზე დიდია. ჩეკანოვსკიმ სამართლიანად შენიშნა, რომ ისინი დაახლოებით 250 მილიონი წლის წინ წარმოიქმნენ, ანუ პერმული პერიოდის ბოლოს, დიდი გადაშენებისას. მართალია მაშინ მეცნიერებმა ამ გადაშენების შესახებ ჯერ არაფერი იცოდნენ, მაგრამ ჩეკანოვსკისთვის უკვე ნათელი იყო, რომ მის წინაშე დიდი კატასტროფის ხედი იშლებოდა.

1875 წელს ჩეკანოვსკის პეტერბურგში, მეცნიერებათა აკადემიაში სამსახური შესთავაზეს. მან თავისი ციმბირული კოლექცია დაახარისხა, რუკები შეადგინა და აკადემიას ტუნგუსკსა და ციმბირის მდინარეების კალაპოტებში ექსპედიციების გეგმა წარუდგინა. აკადემიას მისი იდეა ჭკუაში არ დაუჯდა, მასალებისთვის მადლობა გადაუხადეს, მაგრამ ექსპედიციისთვის ფულის გამოყოფაზე უარი სტკიცეს.

მთელი წელი სხვადასხვა უწყებების კარებთან გაატარა, ამტკიცებდა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ახალი ექსპედიციის მოწყობა. ქირით და ვალით ცხოვრობდა. პეტერბურგის კლიმატმა მისი ავადმყოფობა (ჯერ კიდევ გადასახლებაში მოიხადა ტიფი) გაამწვავა.

ღრმა მელანქოლიისგან თავის დასაღწევად 43 წლის მეცნიერს მხოლოდ ერთი გზა ესახებოდა. სუიციდი პოლონელ არისტოკრატებში (სხვათა შორის, პეტერბურგის სტუდენტობაშიც) მე-19 საუკუნის ბოლოს ძალიან იყო გავრცელებული. 1876 წლის ზამთარში ჩეკანოვსკიმ იყიდა ციანიდი – მისი შეძენა მაშინ ლამის საკონდიტრო მაღაზიაშიც კი შეიძლებოდა – და თავი ისე მოიკლა, ვერც გაიგო რამდენად მასშტაბური იყო მისი აღმოჩენა.

მეცნიერები ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ეჭვობდნენ, რომ ციმბირული ტრაპები შესაძლოა პერმულ პერიოდს უკავშირდებოდეს. მათი გამოჩენა მილიონობით სახეობის გადაშენებას საეჭვოდ ემთხვეოდა. მაგრამ გეოლოგები მიიჩნევდნენ, რომ ასეთი ამოფრქვევა პლანეტის კლიმატზე საგრძნობ გავლენას ვერ მოახდენდა. ციმბირული ტრაპების სტრუქტურის მიხედვით, ნახშირორჟანგი თანდათანობით გამოიყოფოდა და მისი ოდენობა თანამედროვე ანთროპოგენურ გამოფრქვევებზე მეტი არ უნდა ყოფილიყო, ჩვენ კი ჯერჯერობით ცოცხლები ვართ.

ეს რომ ელვისებური ამოფრქვევა ყოფილიყო, ციმბირის „კიბეების“ ნაცვლად, იქ ორი კილომეტრის სიმაღლის მთა უნდა აღმართულიყო. მაგრამ ეს მცდარი შეხედულება აღმოჩნდა. ათიოდე წლის წინ ციმბირული ტრაპების გულდასმით შესწავლამ მეცნიერების ერთდროულად რამდენიმე ჯგუფს მისცა შესაძლებლობა მათი წარმოშობის შესახებ განსხვავებული ვერსია წამოეყენებინა. მათი მოსაზრებით, ლავას არა მხოლოდ მიწის ფენა ეღობებოდა წინ, არამედ ძველი ზღვაც. ეს ფენები ლავაზე მძიმე იყო, ლავა თითქოსდა წნეხის ქვეშ მოექცა, მაგრამ ზედა ფენები თანდათან დნებოდნენ და ლავის მოცულობა ამით მხოლოდ ფართოვდებოდა. რაღაც დროს აირები ლავასთან ერთად ზედაპირზე ამოიჭრა და მაშინვე მომაკვდინებელი გახდა დედამიწისთვის.


ციმბირის ტრაპები

იხ. 11 გვ.

# 1. ამერიკული მასმედია შოკშია ბაიდენის დაუდევრობის გამო!



**ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი დიდ სკანდალში გაეხვია. რესპუბლიკელები მას საიდუმლო დოკუმენტაციის მიმართ არასწორ და გულგრილ დამოკიდებულებაში ადანაშაულებენ. ამბავი გასული წლის ნოემბერში დაიწყო, როცა ერთი ანალიტიკური ცენტრის ბაიდენის კუთვნილ ოფისში გასაიდუმლოებული დოკუმენტები აღმოაჩინეს. ბაიდენი ამ ოფისს, 2017 წელს, ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ იყენებდა.**

პრესაში ზუსტად არ იკითხება, თუ ვინ და როგორ აღმოაჩინა ეს საიდუმლო ჩანაწერები, მაგრამ გასაკვირი ისაა, რომ ასეთი არასერიოზული რამ, შეიძლება, ასე ადვილად მოხდეს ამ ძალიან სერიოზულ ქვეყანაში. ნაპოვნი დოკუმენტები ბაიდენის ვიცე-პრეზიდენტობის ხანას განეკუთვნება. მოგვიანებით, ბაიდენის სხვა ოფისშიც იპოვეს ამ ტიპის დოკუმენტაცია, რის გამოც, რესპუბლიკელებმა გამოძიების ჩატარება მოითხოვეს.

საქმის გამოსაძიებლად, ამერიკის იუსტიციის მინისტრმა საგანგებო პროკურორი დანიშნა. რამდენიმე დღეში, ამ ახალდანიშნულმა პროკურორმა კიდევ ერთი საყურადღებო რამ გახადა ცნობილი, კერძოდ, ჯო ბაიდენის სახლში, რომელიც მის მშობლიურ დელავერის შტატშია, საიდუმლო ქაღალდების კიდევ ერთი წყება იპოვეს. ფაქტს ისიც ამძიმებს, რომ იმ სახლში ჯოზეფ ბაიდენის შვილი, ჰანტერ ბაიდენი, ცხოვრობს. ჰანტერსაც არ აკლია სკანდალები. მას უკრაინულ კორუმპირებულ სქემებში მონაწილეობისთვის ადებენ ხელს. რესპუბლიკელები ყველა საეჭვო ფაქტის დაუყოვნებელ შესწავლას თხოულობენ. წარმომადგენელთა პალატის რესპუბლიკელი წევრი, მაიკ ტერნერი, რომელმაც დაზვერვის ეროვნული სააგენტოს დირექტორს მომხდარის გამოძიებისკენ მოუწოდა, ამბობს, რომ ბაიდენის მიერ ამ დოკუმენტების შენახვა, შესაძლოა, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კანონმდებლობის დარღვევის ნიშნებს შეიცავდეს, მათ შორის, აქტებს საპრეზიდენტო ჩანაწერების, დოკუმენტების შენახვისა და ჯაშუშობის შესახებ.

მთელი თეთრი სახლი და, პირადად, პრეზიდენტი თავდაცვის მოდუსში არიან გადასულნი. ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა, რომ საიდუმლო ქაღალდების აღმოჩენით გაკვირვებულია და დასძინა, რომ გასაიდუმლოებული დოკუმენტაციის საკითხს იგი ყოველთვის დიდი სერიოზულობით ეკიდება, და ამ კონკრეტული საბუთების შინაარსთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს.

ეს ახალი სკანდალი ყურადღებას იმითაც იქცევს, რომ ანალოგიური გამოძიება ამერიკის ექს-პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის, მიმართაც მიმდინარეობს თეთრი სახლის დატოვების შემდეგ საკუთარ ადგილსამყოფელში საიდუმლო სამთავრობო მასალების გადატანისთვის. დაუჯერებელია, რომ ამ დონის და სტატუსის ხალხს არ ყოფნით საზრიანობა და მოხერხება, რომ მათთვის საჭირო საბუთებს, თუნდაც უკანონოდ მითვისებულს, ისე მოუარონ, რომ ხიფათში არ ჩაიგდონ თავი. ტრამპმა არ დააყოვნა და სოციალური მედიის გვერდზე დაწერა, როდის აპირებს FBI ჯო ბაიდენის სხვა სახლების გაჩხრეკასო. დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებას ნაჩვევი ამერიკული საზოგადოება, რა თქმა უნდა, მკვეთრად კრიტიკულადაა განწყობილი პოლიტიკოსების ნებისმიერი გადახრილი საქციელის მიმართ.

მთელი ამერიკული ჟურნალისტიკა შოკშია ამერიკის მოქმედი პრეზიდენტის ასეთი დაუდევრობის გამო. ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა ბაიდენს პირდაპირ მიახალა, პრეზიდენტო, რაზე ფიქრობდითო. პრეზიდენტის თანაშემწეებიც კრტიკის სამიზნეები არიან იმის გამო, რომ მთელი სამი თვე გატრუნულები იყვნენ და ხმას არ იღებდნენ. ასეა თუ ისე, სკანდალმა ბაიდენის ავტორიტეტს უკვე მიაყენა დიდი ზიანი, და აწი რა იქნება, ეს კიდევ სხვა საქმეა. ამერიკული მედია ირწმუნება, რომ ამბავს დიდი და საინტერესო გაგრძელება ელის. რესპუბლიკელები დაჟინებით ითხოვენ, რომ საგანგებო ბრალმდებელმა გაარკვიოს, ჰანტერ ბაიდენს ჰქონდა თუ არა წვდომა აღმოჩენილ საიდუმლო დოკუმენტაციაზე. ითქვა, რომ ბაიდენს ეს სკანდალი ძალიან ძვირი დაუჯდება. მან, შეიძლება, ვეღარც კი წამოაყენოს თავისი კანდიდატურა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

# 2. პარტნიორობა ან – მტრობა!



**უკრაინის მიმართ რუსეთის აგრესიამ მიძინებული სამყარო გამოაფხიზლა. უკვე საყოველთაოდაა აღიარებული, რომ არსებული მსოფლიო წესრიგი თვალსა და ხელს შუა ინგრევა. საერთაშორისო ორგანიზაციები ვერაფერს აკეთებს არსებულის გადასარჩენად. ახალი კავშირებისა და ალიანსების კონტურები კი, ჯერ ძალიან ბუნდოვანია. ქვეყნებს თავიანთი უსაფრთხოების პოლიტიკის გადახედვა უწევთ. გერმანია და იაპონია უკვე დაადგნენ მილიტარიზაციის გზას. ახლა კი, სამხრეთ კორეაც შეუდგა გამალებულ შეიარაღებას. იანვრის დასაწყისში, სამხრეთ კორეის მთავრობამ ქვეყნის უსაფრთხოების ახალი სტრატეგია წარმოადგინა. დოკუმენტში, დეტალურადაა აღწერილი თუ რატომ გამოიმუშავა მთავრობამ უსაფრთხოების ახალი პოლიტიკა.**

მათი აზრით, რუსეთის მიერ საერთაშორისო წესრიგის უგულებელყოფა სხვა ქვეყნებს ანალოგიური მოქმედებისკენ უბიძგებს. მაგალითად, ჩინეთმა ტაივანის, ჩრდილოეთ კორეამ კი სამხრეთ კორეის მიმართ, შეიძლება, მსგავსი აგრესია განახორციელოს. სწორედ, ამგვარი სავარაუდო გამოწვევების დასაძლევად შეიმუშავა სამხრეთ კორეამ უსაფრთხოების ახალი სტრატეგია, რომელმაც მთლიანად ჩაანაცვლა ქვეყნის წინანდელი საგარეო პოლიტიკა, როცა სამხრეთ კორეა ცდილობდა დასავლეთისა და არადასავლეთის დაპირისპირებაში ნეიტრალური პოზიცია ჰქონოდა. ახლა უკვე, სამხრეთ კორეა თავის თავს დასავლეთის ბანაკის წევრად განიხილავს.

როგორც ახალ დოკუმენტშია მითითებული, კორეა ყოველთვის დაიცავს ლიბერალურ-დემოკრატიულ წყობას, რაც იმას ნიშნავს, რომ სამხრეთ კორეა საერთაშორისო ურთიერთობათა ახალ ეტაპზე გადადის, ხდება მსოფლიო პოლიტიკის გლობალური მოთამაშე და საერთაშორისო წესრიგის დამცველი, იწყებს რა, შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვითი მრეწველობის გაძლიერებასა და სამომავლო სამხედრო პროექტებზე მუშაობას, კონკრეტულად, ახალი თაობის ავიამოიერიშისა და ტანკის შექმნას.

სამხრეთ კორეამ უკვე შეიძინა ამერიკული ანტი-სარაკეტო კომპლექსი. ქვეყნის ახალ სტრატეგიაში დიდ როლს თამაშობს ამერიკა, რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა სამხრეთ კორეისთვის უსაფრთხოების გარანტიაცაა და რეგიონში დასავლეთის პოზიციების განმტკიცების წინაპირობაც. სამხრეთ კორეა, ჯერჯერობით არ განიხილავს Quad-ის ორგანიზაციაში გაწევრების საკითხს. შეგახსენებთ, რომ Quad – Quadrilateral Security Dialoge წარმოადგენს ოთხმხრივ სტრატეგიულ დიალოგს ამერიკას, იაპონიას, ავსტრალიასა და ინდოეთს შორის, რომლის ფარგლებშიც, წევრი ქვეყნები უსაფრთხოების მიმართულებით თანამშრომლობენ. სამხრეთ კორეა აპირებს ეტაპობრივად გაზარდოს თანამშრომლობა ამ სამოკავშირეო ფორმატთან.

ახალ სტრატეგიაში, დიდი ადგილი უკავია სამხრეთკორეულ-იაპონურ ურთიერთობას. ისტორიულად, მათი ურთიერთობა დაძაბულად ვითარდებოდა. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მეორე მსოფლიოს ომის დამთავრებამდე, კორეა იაპონიას ჰქონდა ანექსირებული, რომლის სამხედრო ძალები სასტიკად ეპყრობოდნენ კორეელებს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ამერიკის დახმარებით, სამხრეთ კორეა კი დაუახლოვდა იაპონიას, მაგრამ წარსულის აჩრდილი მაინც ახდენდა გავლენას ურთიერთობაზე. ამიტომ, ამ ორ ქვეყანას შორის, ხშირად იყო ხოლმე დაძაბულობა. 2019 წელს, დაძაბულობა იქამდე მივიდა, რომ სამხრეთ კორეამ იაპონიას სანქციები დაუწესა მაღალი ტექნოლოგიების დარგში. ორი წელი დასჭირდა მათ შორის უთანხმოების მთლიანად აღმოფხვრას. ახლა უკვე, სამხრეთ კორეას მიაჩნია, რომ ერთობლივად, ჩინეთსა და ჩრდილოეთ კორეასთან გასამკლავებლად, იაპონიასთან მჭიდრო კავშირი აუცილებელია. საყურადღებოა ისიც, რომ უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაში ჩინეთი, როგორც მტერი, არ არის მოხსენიებული. ამით, სამხრეთ კორეა, თითქოს, მესიჯს უგზავნის ჩინეთს, რომ პარტნიორობის გზაზე ხიდი არ არის ჩატეხილი. სამხრეთ კორეისგან განსხვავებით, იაპონია და ამერიკა მკვეთრ ანტიჩინურ პოლიტიკას ეწევიან, სამხრეთ კორეა კი, ცდილობს ჩინეთს არჩევანი დაუტოვოს: პარტნიორობა ან მტრობა. სამხრეთ კორეამ კარგად იცის, რომ ჩრდილოეთ კორეასთან მშვიდობის გასაღები ჩინეთს უპყრია ხელთ.

უსაფრთხოების ახალ სტრატეგიაში რუსეთზე არაფერია ნათქვამი. რუსეთის მოწინააღმდეგეები ამით, ალბათ, იმედგაცრუებულნი დარჩნენ, რადგან რუსეთის მიმართ კრიტიკას მოელოდნენ, მაგრამ როგორც თავად სამხრეთკორეელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ახალ სტრატეგიაში რუსეთის არგათვალისწინება რუსეთისთვის არაფერს კარგს არ მოასწავებს. ამით, სამხრეთ კორეის მთავრობამ მსოფლიოს დაანახა, რომ ის ამ რეგიონში რუსეთს ძლიერ მოთამაშედ აღარ განიხილავს. უკანასკნელი ათი და უფრო მეტი წლის განმავლობაში, პირიქით იყო: სამხრეთ კორეას და რუსეთს ძლიერი სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ.

# 3. ტანკების ეპოქა არ დამთავრებულა!



**ამასწინათ, ცნობილი გამოცემის, Politiko-ს ევროპულ ვერსიაში ასეთ რიტორიკულ შეკითხვას წავაწყდით: რატომ სჯერა უკრაინას, რომ ტანკები შეაბრუნებენ ომის ტალღას? უკრაინას, დამაჯერებელი კონტრშეტევის მოსამზადებლად, ასობით ჯავშნიანი სატრანსპორტო საშუალება სჭირდება.**

ამ დროს, 21-ე საუკუნის დასაწყისში, სამხედრო მგეგმავებს ერთი, თითქოს უცნაური, მოსაზრება სტანჯავდათ: ტანკი, როგორც საომარი იარაღი, ხომ არ მოძველდა და ხმარებიდან ხომ არაა ამოსაღებიო. კიბერნეტიკული საომარი საშუალება, უპილოტო დრონი და მსგავსი ახლადგამოჩეკილი მაღალტექნოლოგიური საომარი მოწყობილობა, მაშინ, მომავლის იარაღად იყო მიჩნეული. ჯერ კიდევ, 2020-ში ამბობდნენ სპეციალისტები, ბრიტანეთმა, დროა, თავისი ტანკები დაანაფტალინოსო. **ორი წელი გავიდა ამის შემდეგ და კიევი რუსეთის წინააღმდეგ საგაზაფხულო გადამწყვეტ შეტევას სწორედ მე-20 საუკუნის ტრადიციული საომარი მოქმედებით ფიქრობს. ღმერთი ხელს მოუმართავს, მაგრამ, თუ სტატიაში გატარებულ მოსაზრებას ვენდობით, მათი ეს გეგმა უკანასკნელ სამხედრო-სამეცნიერო ვარაუდებს არ ესადაგება.**

თვეობით ფეხის თრევის შემდეგ, დასავლეთის ქვეყნებმა, როგორც იქნა, ამოღერღეს გადაწყვეტილება უკრაინის ფრონტზე დამატებითი საომარი საშუალებების გაგზავნის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ, მაღალტექნოლოგიური წინსვლის მიუხედავად, ბრძოლის ველზე მტერთან დაპირისპირება ძველი, ტრადიციული ხერხებით ჯერ კიდევ ძალაშია, აღნიშნავს Politiko.

კიევის აზრით, ის მძიმე შეიარაღება, რომელიც დასავლეთმა გაიმეტა, ჯერჯერობით, საკითხს წყვეტს, თუმცა, საომარი ინიციატივის ხელში ბოლომდე ჩასაგდებად, უახლოეს მომავალში, უკრაინის არმიას აუცილებლად დასჭირდება, სულ მცირე, 300 ტანკი, 600-ჯავშნიანი სტრანსპორტო საშუალება ქვეითი ჯარისთვის და 500 Howitzer-ი, რომელიც საკმაოდ მძლავრი იარაღია, ზომით, ქვემეხსა და ზარბაზანს შორის, და ისვრის მცირე ზომის ბომბებს მაღალი ტრაექტორიითა და შედარებით დაბალი სიჩქარით. უკრაინა უკვე იყენებს საბჭოეთისდროინდელ ტანკებს, მაგრამ, რადგან შეტევით სახმელეთო ომში, უპირატესობის მისაღწევად, მთავარი მაინც მობილურობაა, უკრაინას, ცხადია, უკეთესი იარაღი დასჭირდება. დასავლეთში სწორედ ამაზე მიდის ახლა ტვინისჭყლეტა.



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

# პუტინს საუკეთესო დასავლელი ექიმები მკურნალობენ...



**უკრაინის მთავარი დაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილის, ვადიმ სკიბიცკის განცხადებით, კრემლის ლიდერის ვლადიმერ პუტინის ჯანმრთელობაზე დასავლელი საუკეთესო მედიკოსები ზრუნავენ.**

ვადიმ სკიბიცკისთან საუბარში ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ უკრაინის არმიის გენერალმა, ნიკოლა მალომუჟმა ჯერ კიდევ 2000-იან წლებში განაცხადა, რომ ვლადიმერ პუტინი მძიმედ იყო დაავადებული.

**„სამწუხაროდ, პუტინს საუკეთესო დასავლელი ექიმები მკურნალობენ. ამიტომ, ის ჯერ კიდევ ცოცხალია, რუს ექიმებს რომ ემკურნალათ, ყველაფერი უფრო სწრაფად დამთავრდებოდა“,** – აცხადებს სკიბიცკი. უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, ის დარწმუნებული არ არის, რომ რუსეთის პრეზიდენტი ცოცხალია. ზელენსკის განცხადებამდე კი, უკრაინის დაზვერვის ხელმძღვანელმა კირილ ბუდანოვმა თქვა, რომ პუტინი დიდი ხნის განმავლობაში ძალიან მძიმედ იყო.

# გაგანია ომის დროს უცხოეთში გულაობდა



**უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილემ, რომელიც 2022 წლის ბოლოს ესპანეთში შვებულებაში იმყოფებოდა, თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება დაწერა, – ამის შესახებ ინფორმაციას გამოცემა „უკრაინსკაია პრავდა“ უკრაინის პროკურატურასა და ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭოში არსებულ წყაროებზე დაყრდნობით ავრცელებს.**

მედიასაშუალების ცნობით, მას შემდეგ, რაც ალექსეი სიმონენკოს დასვენების შესახებ ინფორმაცია გასაჯაროვდა, მას გადადგომის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვეს. როგორც ცნობილი გახდა, სიმონენკო ახალი წლის აღსანიშნად ოჯახთან ერთად 10 დღით იმყოფებოდა ესპანეთის საკურორტო ქალაქ მარბელიაში, რა დროსაც ბიზნესმენისა და დეპუტატის, გრიგორი კოზლოვსკის მანქანა გამოიყენა. უკრაინის პრეზიდენტმა კი ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო თანამდებობის პირებს უკრაინის საზღვრებს გარეთ გასვლა მხოლოდ სამსახურებრივი მიზნით შეეძლებათ. ვიდეომიმართვაში ვოლოდიმირ ზელენსკიმ საკადრო ცვლილებებიც დააანონსა.

# უკრაინაში მაღალჩინოსნები თანამდებობებს ტოვებენ



24 იანვარს, უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ვიაჩესლავ შაპოვალოვმა უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის საკვების შესყიდვასთან დაკავშირებული სკანდალის გამო, თანამდებობა დატოვა. მის მოთხოვნას უკვე მხარი დაუჭირა სამინისტროს ხელმძღვანელმა ოლექსი რეზნიკოვმა.

**„მიუხედავად იმისა, რომ გამოცხადებული ბრალდებები უსაფუძვლოა, ვიაჩესლავ შაპოვალოვის განცხადება თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ღირსეული აქტია. ეს დემონსტრირებაა იმისა, რომ თავდაცვის ინტერესები ნებისმიერ კაბინეტსა თუ სკამზე მაღლა დგას“,** – აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას გავრცელდა ინფორმაცია, რომ უკრაინის თავდაცვის სამინისტრო, სავარაუდოდ, შეიარაღებული ძალებისთვის საკვებს 2-3-ჯერ მაღალ ფასში ყიდულობს კიევის სუპერმარკეტებში. უკრაინის თავდაცვის სამინისტრომ მედიის მიერ გამოქვეყნებულ მასალას, რომელშიც უწყების მიერ ჯარისთვის საკვები პროდუქტების ძვირად შესყიდვის შესახებ არის საუბარი, სიცრუე და მანიპულაცია უწოდა.

# უკრაინული აქტივები ჩამოართვეს



**უკრაინამ რუს მილიარდერს, მიხაილ შელკოვს უკრაინული აქტივები ჩამოართვა. ქონების კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილება უკრაინის უმაღლესმა ანტიკორუფციულმა სასამართლომ იუსტიციის სამინისტროს სარჩელზე მიიღო.**

უკრაინული მედიის ცნობით, მიხაილ შელკოვი „ფორბსის“ რუსული გამოცემის სიაში 59-ე ადგილს იკავებს და მისი ქონება 1,5 მილიარდ დოლარად ფასდება. ის ტიტანის მწარმოებელი ერთ-ერთი უმსხვილესი რუსული კომპანიის, ძირითადი ბენეფიციარი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. შელკოვი ასევე ხელმძღვანელობდა რუსეთის სახელმწიფო კომპანიის, „როსტეხის“ საინვესტიციო განყოფილებას. სასამართლოს გადაწყვეტილებით, შელკოვს ჩამოერთმევა ბინები ოდესასა და ნიკოპოლში, ხუთი ავტომობილი, საწყობი, ფული ანგარიშებზე და უკრაინაში არსებული ტიტანის საწარმოს საწესდებო კაპიტალის 100%-იანი წილი.

# სანქციები სასულიერო პირებს

**უკრაინამ რუსეთის სასულიერო პირების წინააღმდეგ სანქციები დააწესა,** – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ ვიდეომიმართვაში განაცხადა.

„დაწესდა სანქციები 22 ადამიანის, რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ, რომლებიც სულიერების საფარქვეშ მხარს უჭერენ ტერორისა და გენოციდის პოლიტიკას“, – განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ.

უკრაინული მედიის ცნობით, ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვის საბჭომ სანქციები დაუწესა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის 21 წარმომადგენელს, რომელთა შორის რუსეთის პატრიარქის, კირილეს ძმისშვილი მიხაილ გუნდიაევია. ასევე შეზღუდვები დაუწესდა ორმოცდაათიანელების ერთ წარმომადგენელს.



# კადრების უკმარისობა ბიზნესის „გულის“ უკმარისობას იწვევს!

(მეოთხე გვერდიდან)

**დეფიციტურია როგორც კვალიფიციური, ასევე არაკვალიფიციური კადრიც, რაც, ფაქტობრივად, ყველა დარგს ეხება, მათ შორის, ჩვენც. ამას განაპირობებს ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია, პირველ რიგში, მოსახლეობის გადინება, რადგან ვინც სწავლობს, ცოდნას იძენს და მომავლის იმედი აქვს, საზღვარგარეთ წასვლას ცდილობს, ურჩევნია ქვეყნის გარეთ დასაქმდეს. სპეციფიკური ტექნოლოგიების მცოდნე ადამიანი დღეს ძნელად მოსაძებნია. უკვე დიდი ხანია ამ პირობებში ვმუშაობთ და 2023 წელს კიდევ უფრო გაგვიჭირდება“,** – აღნიშნა ბიზნესმენმა.

პრობლემა უკვე კარგად ნაცნობია ხელისუფლებისთვისაც. შესაბამისად, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ბიუჯეტიდან 2 500 000 ლარი დაიხარჯება. ამის შესახებ მთავრობის დადგენილებაშია აღნიშნული და მისი განმახორციელებელი დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო იქნება.

დოკუმენტის თანახმად, პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნად პროფესიებში სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება, პროფესიული გადამზადება ან სამუშაო ადგილზე სტაჟირებით, მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ამ გზით მათი დასაქმების ხელშეწყობა.

წლის განმავლობაში ერთ ბენეფიციარზე გათვალისწინებულია ერთი სასწავლო კურსი. დაფინანსდება მხოლოდ ისეთი დანახარჯები, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროგრამის ხარისხიანი და სრულფასოვანი მიწოდებისთვის. ამასთან, პირდაპირი დანახარჯი ფინანსდება სრულად, ხოლო არაპირდაპირი დანახარჯი არ უნდა აღემატებოდეს საერთო ღირებულების 20%-ს.

ამასთან, სტაჟირების შემთხვევაში, სტაჟირებაზე გაგზავნილი მოსარგებლეებისათვის გაიცემა სახელმწიფო სტიპენდია, რომლის ოდენობა განისაზღვრება თვეში 200 ლარით ერთ მოსარგებლეზე, დისტანციური სტაჟირების შემთხვევაში თვეში 100 ლარით ერთ მოსარგებლეზე. ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ სამუშაოს მაძიებელი პირები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სააგენტოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში.

**ბექა დანელია**

# 2022 წელს საქართველომ ტურიზმიდან 3.5 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო

**2022 წელს მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელს და რეკორდული მაჩვენებელი დადასტურდა – 3,516,634,479 აშშ დოლარი, რაც 2019 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 107.6 პროცენტით აღდგენაა (+247,980,410 აშშ დოლარი), – ამის შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ გავრცელებულ მონაცემებშია აღნიშნული.**

2021 წელთან შედარებით, მოგზაურობიდან შემოსავლები გაზრდილია (2,271,692,761 (+182.5%) აშშ დოლარით.

**„2022 წლის დეკემბრის თვეში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა გადააჭარბა 2019 წლის მაჩვენებელს და 363,306,614 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის ანალოგიური მაჩვენებლის 167.2 პროცენტით აღდგენაა, 2021 წლის დეკემბრის თვესთან შედარებით კი მოგზაურობიდან შემოსავლები გაზრდილია (237,255,596 (+188.2%) აშშ დოლარით.**

**რაც შეეხება ტურიზმის აღდგენის დინამიკას – საქართველოში 2022 წელს 5.4 მილიონი საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი განხორციელდა.**

**2022 წელს 2019 წელთან შედარებით საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების – 71.9 პროცენტი, ხოლო საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტების 58 პროცენტი აღდგა.**

**გასულ წელს საქართველოში, ჯამში, 5,426,903 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც 2021 წელთან შედარებით +188.5 პროცენტით მეტია.**

**2022 წელს ქვეყანაში 3,652,949 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, რაც 2021 წლის ანალოგიურ პერიოდს +131.6 პროცენტით აღემატება.**

**ტურიზმის აღდგენის დინამიკით გამოირჩეოდა 2022 წლის დეკემბერი. ამ პერიოდში საქართველოში 564,656 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც 2019 წლის მონაცემის 84.6 პროცენტით აღდგენაა, 2021 წელთან შედარებით კი ზრდა +216.9 პროცენტია“.**

მათივე ცნობით, 2022 წლის დეკემბერში ქვეყანაში 304,616 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი განხორციელდა, რაც 2019 წლის მონაცემის 97.6 პროცენტით აღდგენაა, 2021 წელთან შედარებით კი ზრდა +110.7 პროცენტია.





ვლადიმერ ისელიძე – 75

# დღესაც წყალბურთის სიყვარულით ცოცხლობს

**ეს იყო ექვსი ათეული წლის წინათ — 15 წლის ვლადიმერ ისელიძე მოსწავლეთა შორის 50 მეტრზე თავისუფალი ყაიდითა და 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში საქართველოს რეკორდსმენი გახდა. მანამდე ჯერ ფეხბურთმა გაიტაცა — ვაკეში „ლოკომოტივის" სტადიონზე მიხეილ ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ტყავის ბურთის საიდუმლოებას, მერე კალათბურთისკენ გაუწია გულმა. მე-60 სკოლაში სწავლისას ლევან ჩხიკვაძესთან, თამაზ ჩიხლაძესა და ვაჟა ჭკუასელთან ერთად ვარჯიშობდა. 1961 წელს მათი გუნდი თბილისის ჩემპიონი გახდა. მიხეილ კეკელიძემ ისინი თავის გუნდში ჩარიცხა.**



არც საცურაო ბილიკებს შერჩენია დიდხანს, არადა, აქაც წარმატებულ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. შესანიშნავმა მწვრთნელმა და პედაგოგმა — ვლადიმერ ბარნაბიშვილმა წყალბურთს აზიარა. გავიდა წლები და ვლადიმერ ისელიძე სპორტის ამ სახეობის ლეგენდად იქცა.

1965 წელს თბილისის „დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ნოდარ გვახარიამ გუნდის სათადარიგო შემადგენლობაში მიიწვია. ძირითადში დებიუტი ვოლგოგრადში შედგა – 16 წლისამ ლენინგრადის „ბალტიკის" წინააღმდეგ ითამაშა. მერე ლვოვის ტურში იასპარეზა. პირველი გოლი ხარკოვის „მეტალისტს" გაუტანა.

15 წლის განმავლობაში, რაც თბილისის „დინამოს" წყალბურთელთა გუნდის ღირსებას იცავდა (11 წელიწადი მისი კაპიტანი იყო), მრავალი ჯილდო მოიპოვა: 1966 წელს საკავშირო ჩემპიონატზე ბრინჯაო ერგო, ერთი წლის შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაზე იმავე სინჯის მედალი დაიმსახურა. 1967-1968 წლებში ყოფილი საბჭოეთის ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში „ოლიმპიური იმედის" ჩემპიონი გახდა გერმანიასა და კუბაზე. ამას მოჰყვა მსოფლიოს უნივერსიადების ოქროს მედლები და საუკეთესო ბომბარდირის ჯილდო1970 და 1973 წლებში, 1975 წელს – ახალზელანდიური თამაშების ჩემპიონობა, VII საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლი. ათი წელიწადი საბჭოთა კავშირის მთავარი ნაკრების წევრიც იყო.

უამრავი წარმატების მიუხედავად, მისი სასპორტო კარიერის გზა ია-ვარდებით როდი ყოფილა მოფენილი. არაერთხელ დაწყვეტია გული.

– 1966 წლიდან თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში გამოვდიოდი, - იხსენებს ჭაბუკობის წლებს ბატონი ვლადიმერი. – საკავშირო ნაკრების ხელმძღვანელობაც არ იყო ჩემ მიმართ გულგრილი. 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიადის წინ ნაკრებში მიმიწვიეს. მოლდავეთში გვქონდა საწვრთნელი შეკრება. ერთ დღეს კიშინიოვის ცენტრალურ სტადიონზე წავედით ფეხბურთის მატჩის საყურებლად. ძალიან ცხელოდა და გაზეთის ქუდი მეხურა. ჩემ უკან საკავშირო ნაკრებისა და მოსკოვის „დინამოს" წამყვანი წყალბურთელი ვიაჩესლავ სკოკი იჯდა. თურმე ჩემი ქუდი ხელს უშლიდა და უხეშად მითხრა, მოიხადეო. მეც გავგულისდი და უარი ვტკიცე; შემაგინა. მატჩის შემდეგ მოფარებულში გავიხმე და, თუმცა, ჩემზე ხუთი წლით უფროსი იყო, გემოზე ვუჟუჟე. ინციდენტი გახმაურდა. სკოკი ბლუმენტალის საყვარელი მოთამაშე გახლდათ. მაშინვე კრება მოიწვია და მე დამადანაშაულა, გუნდიდან დამითხოვა.

1972 წელს მიუხენის ოლიმპიადის წინ სოხუმში ვიყავით საკავშირო შეკრებაზე. როსტომ ჩაჩავამ საკავშირო სპორტკომიტეტის სხდომაზე დააყენა საკითხი ბლუმენტალის გადაყენების შესახებ. ბატონ როსტომს ბევრმა დაუჭირა მხარი, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობა იმ კრიტიკულ მომენტში ვერავინ იკისრა. მთავარ მწვრთნელად ბლუმენტალი დატოვეს. ჩაჩავაზე გაბრაზებულმა აღარ მიმიწვია ნაკრებში, რომელმაც ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა.

**– თუმცა 1976 წლის ოლიმპიადაზე მაინც იასპარეზეთ.**

– დიახ, მონრეალში, მაგრამ უხეიროდ გამოვედით. ნაკრების მწვრთნელებმა გუნდში სპორტისთვის უკვე მობერებული წყალბურთელები მიიწვიეს. თანაც, ოტავაში ოლიმპიადამდე 10 დღით ადრე ჩაგვიყვანეს და 25-მეტრიან აუზში ვარჯიშით სიქა გაგვაცალეს. ამიტომაც იყო, რუმინელებთან რომ ძლივს მივაღწიეთ ფრეს – 2:2, ხოლო ჰოლანდიელებთან დავმარცხდით – 2:3, არადა, ამ გუნდს ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირზე საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრებმა 8:4 მოუგო, მეტოქის კარში 4 ბურთი მე შევაგდე.

ვლადიმერ ისელიძემ 1979 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაზეც ისახელა თავი. მაშინ საქართველოს ნაკრები მეორე ადგილზე გავიდა, ხოლო 13-13 ბურთით ის და მოსკოველი გიორგი მშვენიერაძე ტურნირის ბომბარდირები გახდნენ.

მოსკოვის ოლიმპიადაზე საბჭოთა წყალბურთელებმა ოქრო მოიპოვეს. ნაკრების მწვრთნელმა სკოკმა კიშინიოვის ბოღმა ვერ მოინელა და ისელიძე გუნდში არ მიიწვია. თამაშების შემდეგ ცნობილ წყალბურთელ ალექსანდრ კაბანოვს საკავშირო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელებისთვის უთქვამს, ჩვენს წარმატებაში დიდი წვლილი ისელიძესაც მიუძღვის და ნუ დავივიწყებთო; მათაც, აიღეს და 1981 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიანიჭეს...

აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ ვლადიმერ ისელიძემ სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე იმუშავა, იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს" საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ახლადშექმნილი წყალბურთის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი, რვა წელიწადი შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ იმუშავა. თუმცა წყალბურთს მაინც ვერ შეელია – 2009 წელს საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა გუნდმა 2014 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 12 გუნდს შორის იასპარეზა. ამ წარმატებისთვის ნაკრების ღირსების ორდენოსან თავკაცს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. ორი ქალიშვილის მამა, 7 შვილიშვილისა და 2 შვილთაშვილის ბაბუა, ქართული წყალბურთის ლეგენდა ვლადიმერ ისელიძე, რომელსაც დღეს 75 წელი უსრულდება, დღესაც წყალბურთით ცოცხლობს.

**ლექსო ცინცაძე**

# გუდაურის მთებო, არ ხართ საოცნებო?!




**გუდაურში ქართველ და უცხოელ სათხილამურო ინსტრუქტორთა შორის ვითარება ძალიან დაიძაბა. ორივე მხარე ერთმანეთს ადანაშაულებს. საქმე შეიძლება ფიზიკურ დაპირისპირებამდეც მივიდეს, მით უმეტეს, რომ ამის წინაპირობა გამოკვეთილია.**

დაძაბულობა უკვე გასცდა ლოკალურ ფარგლებს. ავსტრალიური გამოცემა „ეიბისი აუსტრალია" წერს, რომ გუდაურში ადგილობრივები საერთაშორისო სათხილამურო ინსტრუქტორებს მუშაობის საშუალებას არ აძლევენ. ათობით უცხოელს, მათ შორის ავსტრალიის მოქალაქეებს, ადგილობრივები აშინებენ, სიტყვიერად ემუქრებიან და ეუბნებიან, რომ საქართველოში მუშაობის უფლება არ აქვთ.

გამოცემა წერს, რომ მუქარის ფაქტები ავსტრალიის სამი მოქალაქისგან შეიტყვეს, რომელთაც ვინაობის გამხელა არ ისურვეს. მათი განცხადებით, გუდაურში მთელი საკურორტო სეზონის მანძილზე სურთ დარჩენა, თუმცა ვინაიდან მუშაობისა და ფულის გამომუშავების საშუალება არ აქვთ, ქვეყნის დატოვება მოუწევთ. მათ ამ ფაქტზე ადგილობრივ პოლიციასაც მიმართეს, თუმცა პრობლემა მაინც არ აღმოიფხვრა. პოლიციის გარდა, მათ საელჩოებსაც მიმართეს.

**„შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ საერთაშორისოდ აღიარებული კვალიფიკაციისა და მუშაობის უფლების ქონის მიუხედავად, უსაფრთხოების გარანტიებს ვერ ვიღებთ იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ვიმუშაოთ",** – წერია მიმართვაში.

გუდაურში ვითარება ამჯერადაც, ზამთრის სეზონის დაწყებასთან ერთად, დეკემბერში დაიძაბა. 13 იანვარს კი ქართველმა ინსტრუქტორებმა გუდაურში საბაგირო გადაკეტეს და მთის წვერზე არ აუშვეს ებრაელების დიდი ჯგუფი საკუთარი უცხოელი ინსტრუქტორით.

უცხოელთა პოზიციას აბსოლუტურად არ იზიარებენ ადგილობრივები. სათხილამურო გამყოლი **პაატა ღლონტი** ამბობს, რომ საერთაშორისო ინსტრუქტორთა პრობლემა გასულ წლებშიც არსებობდა, თუმცა წელს ვითარება გამწვავდა. შესაბამისად, სახელმწიფო უნდა ჩაერიოს და შეიქმნას კონკრეტული კრიტერიუმები, რისი დაკმაყოფილების შემდეგაც ინსტრუქტორად მუშაობის უფლება გაიცემა. მისივე აზრით, მსგავსი შემთხვევები გუდაურის საკურორტო იმიჯს აზიანებს.

**„ადგილობრივ მოსახლეობას ამ ოდენობის უცხოელი ინსტრუქტორების შემოსვლა არ სურს. სწორედ ამას სჭირდება კონტროლი და სერტიფიცირება, რადგან ბოლო წლებში ინსტრუქტორთა დიდი ნაკადი შემოვიდა, რომელთა შორის შესაძლოა ისეთებიც იყვნენ, საერთოდ რომ არ აქვთ სერტიფიკატი.**

**ამ პროცესის უკონტროლობამ ადგილობრივი მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვია. ისინი ბოიკოტს უცხადებენ პროცესს, ვიდეოებიც გავრცელდა. მგონია, რომ ამაში სახელმწიფო უნდა ჩაერიოს. ამ ადამიანებს პურის ფული შემოაკლდათ, რის გამოც გაღიზიანებულები არიან",** – ამბობს პაატა ღლონტი.

სათხილამურო კლუბ „გუდაურას" მთავარი მწვრთნელი **შალვა აბრამიშვილი** კი წერს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქე ინსტრუქტორებს ყოველგვარი კონტროლის გარეშე ეძლევათ მუშაობის უფლება, შესაბამისად, ქართველ ინსტრუქტორთა პროტესტი სამართლიანია.

**„მინდა ინფორმაცია მოგაწოდოთ გუდაურში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. უკვე ორი კვირაა ქართველ ინსტრუქტორთა უდიდესი ნაწილი გამოხატავს პროტესტს იმის გამო, რომ უცხო ქვეყნების მოქალაქეებს (ისრაელი, უკრაინა, რუსეთი და ა.შ.) აბსოლუტურად ყველანაირი კონტროლის გარეშე ეძლევათ უფლება იმუშაონ სათხილამურო ინსტრუქტორებად გუდაურში. პროტესტს გააჩნია საფუძველი და შესაბამისად, მიზანი. აქტიურად მიდის მუშაობა სამთავრობო უწყებებთან და მაქსიმუმის მაქსიმუმი კეთდება იმისთვის, რომ ყველაფერი დალაგდეს ისე, როგორც არის დალაგებული ევროპაში.**

**ყველას გთხოვთ თავი შეიკავეთ ემოციებისგან, დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელებისგან, ხელი არ შეუწყოთ წყლის ამღვრევას და შესაბამისად პროცესის არაჯანსაღად განვითარებას.**

**ებრაელები არსად არ წასულან. ებრაულმა კომპანიამ დაითხოვა თავისი ჩამოყვანილი ინსტრუქტორები, დაიწყო თანამშრომლობა ქართველებთან და ყველაფერი შესანიშნავადაა, ყველა კმაყოფილია",** – დაწერა შალვა აბრამიშვილმა.

საქართველოს პარლამენტში უკვე მართლაცაა დარეგისტრირებული ახალი კანონი „ტურიზმის შესახებ", რომელმაც სამთო კურორტებზე მუშაობის სხვადასხვა ასპექტი უნდა მოაწესრიგოს.

**ბექა დანელია**

# კოლხეთი იყო, არის და იქნება საქართველო!

**ისტორიას, როგორც მეცნიერებას, არასოდეს ჰქონდა ფუფუნება ობიექტურად აესახა, გაეაზრებინა საქართველოში მომხდარი მოვლენები და ფაქტები.** ნაშრომებში საქართველოს ისტორიის შესახებ ხშირად ანგაჟირებულია ქართველი მეცნიერის მიერ სამეგრელოს, მეგრელების მიმართ სხვადასხვა დროს გავრცელებული პასკვილები, ცრუბრალდებები საქართველოს მტრებისგან, მაგრამ ახლახან რაც მოიძია და ზუგდიდელებს აუწყა ეკონომისტმა **ვლადიმერ ლუკავამ**, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

**„ვინმე თბილისელმა არამეცნიერმა, პროფესიით ინჟინერმა და ნათელმხილველმა, 78 წლის ქალბატონმა ნაზი ხანიაშვილმა გამოუშვა წიგნები „კოლხეთი ისტორიული ასურეთია და არა საქართველო“** და **„კავკასიის იბერია აღმოსავლეთ საქართველოა და არა სამეგრელო“**, რომელიც გავრცელდა, როგორც სოციალურ ქსელებში, წიგნის მაღაზიებში, ისე ბიბლიოთეკებში და მათ შორის – საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში“ – განაცხადა **ვლადიმერ ლუკავამ.**

მკითხველს მინდა წარვუდგინო რამდენიმე მოსაზრება ქალბატონ ნაზი ხანიშვილისა ,,საქართველო და კავკასია არასოდეს ყოფილა ქალდეველ-ლაზ-ბერძენ-მეგრელთა ე.წ. კოლხთა სამშობლო ქვეყანა. ისინი ყოველთვის იყვნენ მომთაბარე სემიტური ტომები... სიტყვა ღორ-ონ-თი (ღმერთი) სამი ნაწილისაგან შედგება, ღორი ქართული სიტყვაა, რომელიც მეგრულ ენაზე არის „ღეჯი“. სიტყვა „ღორონთი“ მეგრელთა ღმერთის ქართულ ენაზე შერქმეული სახელია და ნიშნავს, რომ მეგრელები სიტყვაში „უფალი“ ღორის თაყვანისცემას მოიაზრებენ“.

ნაზი ხანიაშვილის ამ უტიფარი და ამაზრზენ მოსაზრებათა გამო საზოგადოება ,,ზუგდიდელის“ თავმჯდომარემ ბატონმა **მურმან ნაჭყებიამ** მოიწვია საზოგადოების წარმომადგენლები, რათა ემსჯელათ, თუ როგორ ემოქმედათ. ყველანი ძალიან აღშფოთებულნი და გაღიზიანებულნი იყვნენ. აზრი ორად გაიყო, ერთნი აცხადებდნენ, რომ ამ აბდაუბდის მიმართ არც ღირდა ყურადღების გამახვილება და მხოლოდ დაგმობითა და გულისწყრომით შემოფარგლულიყვნენ. ის რომ მეგრელები არ არიან ქართველები და სხვა ტომის წარმომადგენლები არიან, ეს არის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დივერსია. ეს წიგნები არ შეიძლება იყოს მეცნიერული დავის საგანი. ეს არის შეკვეთილი, რადგან ეს ქალბატონი აზრზე არ არის, რას წერს. ყველა წიგნს აქვს არსებობის უფლება, ამიტომაც ჩვენ უნდა გამოვხატოთ





ნაზი ხანიაშვილი

ჩვენი გულისწყრომა, მაგრამ ეს წიგნები განხილვის საგნად არ ღირდა“, – აღნიშნა მწერალმა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის უფროსმა **ლაშა გვასალიამ.** მის ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა დამსწრეთა მეორე ჯგუფი, რომელთა განცხადებითაც მხოლოდ გულისწყრომით შემოფარგვლა არ იქნებოდა საკმარისი: (მათ შორის იყო საზოგადოების თავმჯდომარე). ამიტომაც მათ წერილები გააგზავნეს სხვადასხვა ინსტანციაში, მათ შორის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში: „საზოგადოება „ზუგდიდელს“ მოგვმართა მოქალაქეთა ჯგუფმა, რომლებმაც გამოთქვეს ღშფოთება ვინმე ნაზი ხანიაშვილის წიგნებში გადმოცემული ვარაუდების მიმართ, სადაც „ავტორი შეგნებულად თუ შეუგნებლად ძირს უთხრის ჩვენი ქვეყნის ისტორიას. საკვირველი ის არის, რომ ამდაგვარი შინაარსის წიგნები იბეჭდება, გამოიცემა და ადგილს პოულობენ ბიბლიოთეკებში, მათ შორის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში“ – ნათქვამია ამ წერილში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორისგან პასუხმა არ დააყოვნა: **„მოგახსენებთ, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის კოლექტივი ვგმობთ ხანიაშვილის წიგნების პათოსს და შინაარსს. მისი წიგნები წაშლილია ჩვენი საიტიდან, ხოლო წიგნები გადატანილია სპეციალურ ფონდში“** – აღნიშნულია დირექტორის საპასუხო წერილში.

მინდა სრულიად საქართველოს, ქართველ ხალხს ვაუწყო, რომ ვერავინ დედამიწის ზურგზე ვერ შეცვლის, ვერ გადააკეთებს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას: „კოლხეთი ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველო“.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

## სანთელი



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი**

### ზაზა ალექსიძე

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**მისამართი: ლევან მიქელაძის ქ. 19 (ვაკეში, „კარფურის“ უკან).**

**პანაშვიდი: 25-26 იანვარს, 17 საათზე,**

**გამოსვენება ბინიდან, 27 იანვარს, პარასკევს, 14 საათზე.**

---

**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის ძმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი**

### ზაზა ალექსიძე

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## სულთათანა

### ლიდა ფხალაძე



**ძირძველი ჟორდანიას ინსტიტუტის თანამშრომლებმა და ჩვენმა რეპროდუქტოლოგიის საზოგადოებამ განიცადეს უმძიმესი დანაკლისი: გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ქალბატონი ლიდა ფხალაძე.**

**ქალბატონი ლიდა ინსტიტუტში სამუშაოდ მიიღო თვით ბატონმა იოსებ ჟორდანიამ გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგად 1962 წელს. იმ დროიდან მოყოლებული, 60 წლის განმავლობაში, განუწყვეტლად, ქალბატონი ლიდა ერთგულად ემსახურა თავის პროფესიას და ინსტიტუტს. იგი ერთნაირ პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებდა როგორც პაციენტებისგან, ასევე კოლეგებისგან. უსათნოესი პიროვნება, პაციენტების გულშემატკივარი და მაღალპროფესიონალი ექიმი, ქალბატონი ლიდა ძალიან ბევრი ექიმისთვის იყო უანგარო დამხმარე და კონსულტანტი.**

**დღეს უნებლიეთ გვახსენდება დიდი შოთა რუსთაველის სიტყვები: „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა, ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა...“**

**ამ ქვეყნიდან წასვლით ქალბატონმა ლიდამ დაგვიტოვა დიდი ტკივილი და სინანული: ასეთი გამოცდილი ექიმები და კეთილი ადამიანები ძალიან იშვიათად გვხვდებიან ცხოვრებაში. უფალმა გაანათლოს ქალბატონი ლიდა ფხალაძის უმწიკვლო სული.**

**ჟორდანიელები**

# მეექვსედაც გადავშენდებით?

**(მეექვსე გვერდიდან)**

### ივანტოზავრის სიკვდილი

**შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, მიწა შეიძრა და მისი ზედაპირი სქელი, შხამიანი ბურუსით დაიფარა. თუკი მიწაზე კიდევ იყო რამე შემაღლებული ადგილი, სადაც ცოცხალი არსებები ჰაერს იპოვიდნენ, ზღვის ბინადრებს მსგავსი არაფერი გააჩნდათ – ქლორმა მსოფლიო ოკეანე მოწამლა.**

ჯერ ბრიოზოები, ბრაქიოპოდები და უკანასკნელი ტრილობიტები დაიღუპნენ, მას ხრტილოვანი თევზების დიდი ნაწილი მიჰყვა. ხმელეთზე რეპტილიების უმრავლესობა განადგურდა, პატარა მტაცებელი დინოზავრები (მაგალითად, ივანტოზავრი, რომლის ნაშთიც ციმბირში აღმოაჩინეს) და უფრო დიდები, ბალახჭამიები.

ხოჭოები, ბადეფრთიანები და სხვა მწერები, რომლებიც უკვე კარგად იყვნენ დამკვიდრებულნი ხმელეთზე ევოლუციის კიბის თავდაღმართში დაეშვნენ. ყველაზე საშინელი რამ ტყეებს სჭირდათ. უცაბედი დათბობის გამო ისინი მთელ პლანეტაზე იწვოდნენ. მცენარეული საფარი ყველა კონტინენტზე (უფრო სწორად ჯერ კიდევ ერთიანი კონტინენტის – პანგეას – სხვადასხვა ნაწილებში) დეგრადირდა. ჰაერში ჟანგბადი სულ უფრო ცოტა რჩებოდა. ბოლის, ხანძრისა და ვულკანური ამოფრქვევების გამო მზის სხივი მიწამდე ვერ აღწევდა. ტემპერატურა იზრდებოდა და ყველა ცოცხალი არსება წამებით სიკვდილისთვის იყო განწირული.

საოცარი ის არის, რომ ამის შემდეგ სიცოცხლე არა თუ გადარჩა, კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა. როგორც მეცნიერების უმეტესობა მიიჩნევს, გადაშენება სიცოცხლისთვის სულაც არ ნიშნავს კატასტროფას, ის უფრო ინსტრუმენტია ევოლუციისთვის, ყველაფრის თავიდან დაწყების საშუალება, სხვაგვარი განვითარების შანსი. ხუთი დიდი გადაშენება რომ არა, შესაძლოა ევოლუცია სულ სხვა გზით წასულიყო და კაცობრიობას დღეს საერთოდ არ ეარსება.

შესაძლოა ჩვენს შემდეგაც, ყველა ჩვენი ომის, ეკოლოგიური კატასტროფის, განხეთქილების შემდეგ, რომელიღაც შემდეგი ცივილიზაცია არანაკლები შემართებით გააგრძელებს გეოლოგიურ კიბეზე აღმასვლას.

შესაძლოა ძეგლიც დაგვიდგან გამართულად მოსიარულე, გონიერ ძუძუმწოვრებს, როდესაც რამდენიმე გადარჩენილი ჩონჩხის მიხედვით ჩვენს გარეგნობას აღადგენენ.

**სერგეი ტაშევსკი**


ივანტოზავრი

### ქართველებმა ერთ საათში ოთხი სუპერმარკეტი გაძარცვეს

**პოლონეთში ორმა ქართველმა ერთ საათში ოთხი სუპერმარკეტი გაძარცვა. ქართველებმა მაღაზიებიდან დაახლოებით 7 000 ზლოტის (4 300 ლარი) ღირებულების ალკოჰოლი, ჩუსტები, წინდები, კბილის ჯაგრისები და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთები მოიპარეს. დამნაშავეები მეოთხე სუპერმარკეტის ძარცვისას დააკავეს, სადაც ისინი ავტომანქანით მივიდნენ, რომელშიც მოპარული საქონელი იყო შენახული. დაკავებულებს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.**



გილოცავთ!

# „ფიცხი რაჭველი“



**ვლადიმერ (ვოვა) ისელიძე – მე მას სპორტში „ფიცხი რაჭველი“ შევარქვი –75 წლის გახდა!**

ძნელია სპორტში სხვა გამოჩენილი სპორტსმენი იპოვო, რომელსაც თავის კარიერაში უმაღლესი ხარისხის ჯილდოები არ მოუპოვებია მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიურ თამაშებზე, მაგრამ ის კი აღიარებული იყოს თავის სახეობაში ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად! სწორედ ასეთი გამოჩენილი წყალბურთელია ვოვა ისელიძე. მისი სპორტული მონაგარი კი ასეთია:

1966 წელი. სსრკ ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი;

1967 წელი. სსრკ ხალხთა IV სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი;

1979 წელი. სსრკ ხალხთა VII სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი;

1967 და 1968 წლები. „ოლიმპიური იმედის“ თამაშების ჩემპიონი სსრკ ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში;

1970 და 1973 წლები. მსოფლიო სტუდენტური უნივერსიადების ჩემპიონი;

1974 წელს ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი საბჭოთა კავშირის ნაკრებში;

1975 წელი. „ახალზელანდიური თამაშების“ ჩემპიონი.

ჩვიდმეტწლიანი სპორტული მოღვაწეობის მანძილზე ის უპირველეს თავდამსხმელად აღიარეს, მაგრამ ის ყოველთვის დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც საჭირო იყო. შეგახსენებთ, რომ განათლებით ინჟინერ-ქიმიკოსია, პოლიციის პოლკოვნიკი. სპორტული კარიერის შემდეგ მრავალ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე უმუშავია. 1990-94 წლებში ხელმძღვანელობდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საბჭოს, არჩეული იყო საქართველოს წყალბურთის ფედერაციის პრეზიდენტად. 2003 წლის 2 ნოემბერს საქართველოში წყალბურთის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი დიდი წვლილისათვის, ნაყოფიერი სპორტული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით!

დიდი სახელი მოიხვეჭა, ბევრი დაუმსახურებელი გულისტკენაც ჰქონდა, მაგრამ იგი კვლავინდებურად მხნე და შეუდრეკელია. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით უმშვენიერეს მეუღლეს ელეონორა ანდღულაძეს, ქალიშვილებს სოფიოსა და ნინოს, შვილიშვილებს, შვილთაშვილებს – დათოსა და სოფიკოს.

ვოვას დიდი სიხარული მოუტანა მშობლიური კლუბის „დინამოს“ აღორძინებამ. მისი თქმით, უამრავი მსურველია, წყალბურთს ეზიაროს, მაგრამ აუზების ნაკლებობა ჯერ არ იძლევა ამ ოცნების ასრულების საშუალებას.

გავა დრო და სპორტის ამ სახეობას მრავალი სათაყვანებელი პიროვნება მოევლინება, მაგრამ ისეთი უნიკალური, მართლაც იშვიათი და სამაგალითო, როგორიც იყო წყალში და არის ხმელეთზე „ფიცხი რაჭველი“, თითზე ჩამოსათვლელი იქნება!

**შენი თაყვანისმცემელი**
**ზურაბ დვალი**



# ფერის განსაკუთრებული გრძნობა და ემოციურობა

## ეროვნული გალერეა მანანა თუმანიშვილის გამოფენას მასპინძლობს

**კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში მანანა თუმანიშვილის გამოფენა გაიხსნა.** ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე იოსებ ბაღათურია დაესწრო. ეროვნულ გალერეაში წარმოდგენილი ექსპოზიცია აერთიანებს მანანა თუმანიშვილის 70-მდე ნამუშევარს, რომლებიც ბოლო ათწლეულის განმავლობაში სხვადასხვა ტექნიკით არის შესრულებული.

**„მანანა თუმანიშვილის მხატვრობას გამოარჩევს ფერის განსაკუთრებული გრძნობა და ემოციურობა. იგი მუდმივად ეძებს გამომსახველობით საშუალებებს და უკვე ნაცად მხატვრულ მასალას ახალ ხერხებს უკავშირებს. მანანა თუმანიშვილი თავის შემოქმედებაში აკვარელთან ერთად იყენებს შერეულ ტექნიკას. იგი ნამუშევრებში ცოცხალი სხეულის რბილსა თუ მკვრივ ფორმებს სხვადასხვა საღებავითა და ტექნიკით (აკრილი, პასტელი, გუაში, ტუში, მონოტიპია) აძლიერებს. მანანა თუმანიშვილი 1966 წლიდან თბილისის სამხატვრო აკადემიაში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა. ასწავლიდა ხელოვნების ისტორიას, დამწყებ მხატვრებს კი აკვარელის რთული ტექნიკით მუშაობის ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდა. 1968 წლიდან იგი აქტიურად მონაწილეობს გამოფენებში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. მანანა თუმანიშვილის გამოფენა ეროვნულ გალერეაში 2023 წლის 4 თებერვლამდე გაგრძელდება“,** – ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

# კემერონის ფილმებმა 2 მილიარდი შეაგროვა



**ჯეიმს კემერონი კინემატოგრაფის ისტორიაში ერთადერთი რეჟისორი გახდა, რომლის სამმა ფილმმაც გაქირავებაში $2 მილიარდზე მეტი შეაგროვა.**

ეს სამი ფილმია: **„ავატარი: წყლის გზა“, „ტიტანიკი“ და „ავატარი“.** ამგვარად, კემერონმა $2 მილიარდზე მეტი შემოსავლის მქონე ფილმების ნახევარი სურათი გადაიღო. დანარჩენი 3 ფილმი, რომელსაც გაქირავებაში ასეთი წარმატებული აღმოჩნდა არის – „შურისმაძიებლები: ფინალი“, „ვარსკვლავური ომები. ეპიზოდი VII“ და „შურისმაძიებლები: უსასრულობის ომი“. კემერონის ბოლო ნამუშევრის – „ავატარის“ სიქველის პრემიერა 16 დეკემბერს შედგა. ფილმმა გაქირავებაში $2 მილიარდი სულ რაღაც 39 დღეში მიიღო.

# კორონაციის აღნიშვნა 3 დღეს გაგრძელდება



**დიდი ბრიტანეთის მეფის, ჩარლზ მესამის კორონაციის აღსანიშნავად, უინძორის სასახლესთან მსოფლიო ვარსკვლავები იმღერებენ.**

კორონაციის დღეებად 6-8 მაისია გამოცხადებული. ბუკინგემის სასახლის წარმომადგენლების განცხადებით, ზეიმი სამ დღეს გასტანს და უინძორის სასახლის წინ ვარსკვლავების მონაწილეობით კონცერტი გაიმართება, რომელიც BBC-ის პირდაპირ ეთერში გადაიცემა.

**„მისი უდიდებულესობა მეფე ჩარლზი და დედოფალი-კონსორტი იმედოვნებენ, რომ კორონაციის დღეებში გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლები მოვლენის აღნიშვნას მეგობრებთან, ოჯახთან ერთად შეძლებენ“,** – ნათქვამია ბუკინგემის სასახლის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

# მსოფლიო ლამაზმანები, „ღვთაებრივი კომედია“ და უნიკალური წარმოდგენა პოდიუმზე



**კაილი ჯენერმა პარიზის მოდის კვირეულზე უჩვეულო კაბა მოირგო. როდესაც ჯენერი Schiaparelli-ს ჩვენებაზე მივიდა, მას შავ კაბაზე ლომის უზარმაზარი თავი ჰქონდა მიმაგრებული.** ზოგმა უჩვეულო აქსესუარს კაილის მეორე ვაჟს დაუკავშირა - ცოტა ხნის წინ რეალითი შოუს ვარსკვლავმა გაამხილა, რომ მის 11 თვის ვაჟს აირე დაარქვა, რაც „ღმერთის ლომს“ ნიშნავს. თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა კაბა სწორედ Schiaparelli-ს ახალი კოლექციიდან იყო. პოდიუმზე ცხოველების თავებით მორთული კოსტიუმები ნაომი კემპბელმა, შალომ ჰარლოუმ და ირინა შეიკმა წარადგინეს. როგორც Schiaparelli-ს კრეატიულმა დირექტორმა დენიელ როსბერიმ განმარტა, კოლექციის შთაგონების წყარო დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ და ჯოჯოხეთის 9 წრე გახდა. პოდიუმზე წარმოდგენილი 3 ცხოველი – ლომი, ლეოპარდი და მგელი სწორედ მე-14 საუკუნის ლეგენდარულ პოემაში ჩნდებიან. მისივე განმარტებით, ცხოველების თავები ხელნაკეთია და 100%-ით ხელოვნური მასალისგანაა დამზადებული.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
2 009882 616932



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 27 იანვარს**

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6594; ევრო - 2.8822;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2878;
100 რუბლი - 3.8657; თურქული ლირა - 0.1414;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5675;
1000 სომხური დრამი - 6.7199

**ამინდი 25 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | -6, | დღე | +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -11, | დღე | +7 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე | +14 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -6, | დღე | +13 |
| თბილისი: | ღამე | -2, | დღე | +7 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge